პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

10 ივლისი, 1939 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

№ 20 (107) ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური შემოქმედება და საბჭოთა პოეზია

ხალხური შემოქმედების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა საბჭოთა მწერლობის კადრების უაღრესად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ამოცანაა.

გენიალური რუსი მწერალი მაქსიმ გორკი სწერდა: „ყველა ქვეყნის დიდი პოეტების საუკეთესო ნაწარმოებები დაკავშირებულია ხალხის კოლექტიური შემოქმედების საგანძურთან, რომელშიაც ძველთაგანვე მოცემულია ყველა პოეტური განზოგადოება, ყველა სახელგანთქმული ტიპი და სახე. ეჭვიანი ოტელო, ნებისყოფას მოკლებული ჰამლეტი, გარყვნილი დონ-ჟუანი—ყველა ეს ტიპი ხალხმა შექმნა შექსპირზე და ბაირონზე ადრე. რაინდობას დასცინეს ხალხურ ზღაპრებში სერვანტესზე ადრე, ამასთან მასავით ნაღვლიანად და გესლიანად. მილტონი და დანტე, მიცკევიჩი, გოეტე და შილერი ყველაზე უფრო მაღლა მაშინ აღიმართებოდნენ, როცა მათ ფრთებს ასხამდა კოლექტივის შემოქმედება, როცა ისინი იღებდნენ შთაგონებას უსაზღვროდ ღრმა, აურიცხველად მრავალფეროვანი, ძლიერი და ბრძნული ხალხური პოეზიის წყაროებიდან".

ზევსი ხალხმა შექმნა, ხოლო ფიდიასმა იგი მარმარილოში განასახიერა, — ამბობდა გორკი და ამით ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ რაც უფრო ახლოა ხელოვნება ხალხთან, მით უფრო ძლიერი, მონუმენტალური და დიადია იგი; წარსულის ხელოვნებამ გაუძლო საუკუნეებს იმიტომ, რომ ხალხმა შთაბერა მას თავისი უკვდავი და ძლიერი სული.

უამრავმა ლიტერატურულმა სკოლებმა, რომელნიც კლასიკური რეალიზმის კრიზისის ეპოქაში წარმოიშვნენ და რომელნიც არსებითად სიმბოლიზმის ზეგავლენის ქვეშ იყვნენ, ხელოვნება მოსწყვიტეს თავის ჭეშმარიტ წყაროს — ხალხს. სხვა მიზეზთა შორის ამიტომაც იყო დეკადენტური ხელოვნება ესოდენ მკრთალი, უსიცოცხლო და ავადმყოფური. რომ გათავისუფლებულიყო შემოქმედებითი უძლურების ეპოქა, საჭირო გახდა ხელოვნების დაბრუნება ამ ჭეშმარიტ წყაროსთან—მშრომელ ხალხთან. სწორედ ამიტომ მოუწოდებდა ჩვენს მწერლებს მაქსიმ გორკი, სოციალისტური რეალიზმის პირველი კლასიკოსი უფრო ახლოს ყოფილიყვნენ ლიტერატურის ცოცხალ სათავესთან — ფოლკლორთან. გორკი მოუწოდებდა მწერლებს — შეესწავლათ ხალხური ზღაპარი, გამსჭვალულიყვნენ მისი ცეცხლით და პათოსით. ხალხურ ზღაპარსა და ლექსში იგი ყოველთვის აღნიშნავდა ჯანსაღ ძალას, სისადავეს, რომელიც სახეს ორი-სამი სიტყვით ჰქმნის.

ცხადია, ვიწროდ და შეზღუდულად არ უნდა გავიგოთ ეს ამოცანა და საბჭოთა ლიტერატურისა და ფოლკლორის ეს შემოქმედებითი ურთიერთობა არ უნდა დავიყვანოთ ფოლკლორული მოტივების ვულგარულ იმიტაციამდე. მზამზარეული სახეები და ფორმები კი არ უნდა გადმოვიღოთ ფოლკლორიდან, არამედ, მის ტრადიციებზე დაყრდნობით, წავიდეთ წინ. ფოლკლორის შემოქმედებითს ათვისებას პოეტი შესძლებს მაშინ, როცა გაიცნობს მსოფლიო ლიტერატურის ძეგლებს, როცა მისი გონება გამდიდრდება იმ კლასიკური მემკვიდრეობით, რომელიც კაცობრიობას შეუქმნია, როცა ის შეიარაღდება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ცოდნით.

მშრომელი ხალხის ზეპირი პოეზია ეხმარება მწერალს — უფრო სრულყოფილად დაეუფლოს თავისი მშობლიური ენის წარმტაც სილამაზეს და სიმდიდრეს. ამ მხრივ ფოლკლორის შესწავლა უშუალოდ დაკავშირებულია საბჭოთა პოეზიის მხატვრულ პრაქტიკასთან.

ფოლკლორი ღრმა წარსულიდან მოსდევს ისტორიას. იგი ყოველთვის გამოხატავდა ადამიანის თამამ და გაბედულ ოცნებებს. ასი და ათასი წლების წინად ოცნებობდა ხალხი თავისუფალ და სამართლიან ცხოვრებაზე, ოცნებობდა ისეთ ქვეყანაზე, სადაც შრომა და სიმართლე იქნებოდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონი, ათასი წლების წინ ოცნებობდა ადამიანი ჰაერში ფრენაზე.

უსახელო ხალხური შემოქმედნი ყოველთვის ილაშქრებდნენ კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. ფოლკლორი აღვივებდა ინტერნაციონალურ გრძნობებს და მეზობელ ერთა სიყვარულს: „ყველა ადამის შვილი ვართ; თათარიც ჩვენი ძმა არის; ჩვენსა და სომეხებს შუა განყოფილება რა არის", — ამასა მღეროდა ხალხი იმ დროს, როცა გაბატონებული კლასები, მტაცებლური ომების ორგანიზატორები ერთმანეთს უსევდნენ ხალხებსა და ერებს.

სოციალისტური რეალიზმი, იღებს რა ფოლკლორის მემკვიდრეობას, სწმენდს მას ჩამორჩენილობის ელემენტებისაგან, სწავლობს მისგან ხალხისა და მისი შრომის ისტორიას, სწავლობს ხალხურ სიბრძნეს.

სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა **ლენინ-სტალინის** პარტიამ დაამკვიდრა ხალხისათვის ნანატრი თავისუფლება, ხალხური შემოქმედებაც ახალი გზით წარიმართა. მწუხარების მოტივები ულრმესი სიხარულით შეიცვალა.

უაღრესად საინტერესო ეპოქალურ მოვლენას წარმოადგენს ეს ახალი ფოლკლორი. ყოველდღიურად იზრდება და იფურჩქნება ჩვენი სამშობლო და ყოველი ახალი მოვლენა მკვეთრ შემოქმედებითს გამოძახილს პოულობს ხალხის ზეპირ პოეზიაში. ამ პოეზიის შესწავლა დაეხმარება მწერალს უფრო ყოველმხრივ შეიცნოს და გაიგოს თანამედროვეობა, უფრო ღრმად ჩასწვდეს ხალხის სულისკვეთებას და სიხარულს, უფრო ლამაზად და მიმზიდველად გამოხატოს დღევანდელი ცხოვრება.

საჭიროა სისტემაში მოვიყვანოთ და მეცნიერულად შევისწავლოთ ჩვენი ხალხის მდიდარი ფოლკლორული მემკვიდრეობა. ამ მხრივ რევოლუციამდეც საკმაოდ იმუშავეს ქართველმა მწერლებმა და პუბლიცისტებმა, მაგრამ ისინი ყოველ ნაბიჯზე დაბრკოლებას აწყდებოდნენ. მკაცრი სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის პირობებში მეტად ძნელი იყო ამ კულტურული საქმის ნორმალურად განხორციელება. პეტრე უმიკაშვილმა მთელი 40-45 წლის განმავლობაში დაუღალავად იმუშავა ხალხური შემოქმედების ნიმუშების შესაგროვებლად, მაგრამ რევოლუციამდე ამ მასალას მზის სინათლეზე გამოტანა არ ეღირსა. მხოლოდ დღეს, საბჭოთა კულტურის აყვავების პირობებში აღმოუჩნდა მზრუნველი და მფარველი ხალხის დიდებულ შემოქმედებას.

დღეს საბჭოთა მკითხველს და მწერალს უკვე ხელთ აქვთ არა ერთი საუკეთესო კრებული, რომლებიც ნათელ წარმოდგენას იძლევიან ჩვენი ხალხის მდიდარი სულიერი კულტურის, მისი უგულითადესი მისწრაფებების შესახებ. ამ კრებულებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება", აკ. შანიძის „ხევსურული პოეზია", „ხალხური შემოქმედების საუნჯე", „თუშური ლექსები" (ს. მაკალათიას რედაქციით), ყაზბეგის მუზეუმის მიერ შეკრებილი მოხეური ლექსები (ალ. გომიაშვილის რედაქციით) და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა „ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში" (დ. ბენაშვილის რედაქციით). ამ შესანიშნავ კრებულში მოთავსებულია ის ლექსები და სიმღერები, რომლებიც შექმნა ხალხმა თავისი ბედნიერი და სამური ცხოვრების, თავისი საყვარელი ბელადების **ლენინისა და სტალინის** შესახებ. ეს ლექსები ყურადღებას იქცევენ თავისი აზრის სიდიადით, მხატვრული უშუალობით და გულწრფელობით, თავისი მდიდარი კოლორიტით და ძარღვიანი ქართული ენით.

რა თქმა უნდა, ხალხური შემოქმედების მდიდარი საგანძური არ ამოიწურება მარტო იმით, რაც დღემდე გამოქვეყნდა. ხალხი ყოველდღიურად ჰქმნის ახალ საუცხოო შემოქმედებითს ნიმუშებს. ჰქმნის სოციალისტური სინამდვილის სადიდებლად მადლობისა და სიხარულის სიმღერებს.

უნდა გავეცნოთ ამ სიმღერებს, უნდა შევკრიბოთ და შევისწავლოთ ისინი, რომ უფრო ახლოს ვიყვეთ ხალხთან, უფრო ახლოს ვიცნობდეთ მის გულითად მისწრაფებებს.

დიდ სტალინს

სოლომონ თავაძე

კავკასიონის სპეტაკ შუბლს
რიჟრაჟი შემოჰფენია,
ეს შენი სახე ელვარებს,
შენი უკვდავი გენია.

მოპირმცინარობ დიდებით,
დროშები მზემდის სწვდებიან;
ყვავილნი გაზაფხულისა
გულგაშლილები გხვდებიან.

რამდენი ცვარიც ამ დილას
სხივმა მოსწყვიტა ციმციმით,
იმდენი ცრემლი აშრე
განწირულის და ტვირთმძიმის.

რამდენ გულშიაც დამწვარა
იმედი შავში ნაღესი,
შენ შეუცვალე სამშობლოს
შუქანთებული ალერსით.

რაც დედებს კვნესა აღმოხდა
გმირების დამარცხებაზე,
შენ შეუცვალე მშრომელ კაცს
შემოქმედ ალტაცებაზე.

ცისკარს გაზრდის, ღიმილით
ველზე გამოვა მთესავი,
სულში აუნთებ სიხარულს,
შემოანათებ მზესავით.

მეცხრე ცას სწვდება მფრინავი,
სივრცე სივრცეებს გასწვის,
სად არ გაჩნდება იმედად
შენი გაზრდილი არწივი.

საზღვარს გასცქერის მესაზღვრე,
დაძრწიან ბნელი ძალები,
უკუნეთს ელვით მიარღვევს
შენი შორსმჭვრეტი თვალები.

ამაოდ ლამობს გრიგალი,
რომ გემს აფრები მოხიოს,
ძლევით მიარღვევ შავ ტალღებს,
მესაჭევ ახალ მსოფლიოს.

რამდენიც უნდა მუქარით
უფსკრული უფსკრულს ახლოს,
შენ რას დაგაკლებს მტრის ძალა,
კავკასიონზე მაღალო.

ვიდრე მთები დგას მთებურად,
მტკვარი გულს უხსნის ალიონს,
მზე ახმიანებს შენს სახელს,
ჩვენო დიდებავ სტალინო!

შევჩენკოს სახელობის თეატრის კოლექტივის შეხვედრა საქართველოს ხელოვნების მუშაკებთან

სრული ერთი თვეა, რაც შევჩენკოს სახელობის თეატრი თავის შესანიშნავ წარმოდგენებს უჩვენებს თბილისის მოსახლეობას. „ბოგდან ხმელნიცკი", „ნაზარ სტოდოლია", და სხვა პიესები თბილისელ მაყურებელს დიდხანს დარჩება მეხსიერებაში, როგორც თეატრალური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები.

თბილისის მაყურებელი დიდის აღფრთოვანებით ხვდებოდა ამ თეატრის ყოველ წარმოდგენას. ხელოვნების მუშაკები, სტახანოველი მუშები კარგს შეფასებას აძლევდნენ მას თბილისის გაზეთის ფურცლებზე.

უკრაინის თეატრისა და საქართველოს ხელოვნების მუშაკთა დაახლოების მიზნით, თბილისის ხელოვნების ოსტატთა კლუბმა 8 ივლისს გამართა დიდი საღამო. კლუბის დარბაზი სავსე იყო თბილისის სამხატვრო საზოგადოების წარმომადგენლებით. თბილისის თეატრების მუშაკებს, საბჭოთა მწერლებს, მხატვრებსა და ხელოვნების სხვა მომუშავეებს თავი მოეყარათ მოძმე ხალხის შესანიშნავი თეატრის კოლექტივის პატივსაცემად.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ი. გვინჩიძემ. თავის სიტყვაში მან ხაზგასმით აღნიშნა შევჩენკოს სახელობის უკრაინული თეატრის თბილისში ჩატარებული გასტროლების დიდი პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობა.

ვრცელი სიტყვით უკრაინელ და ქართველ ხალხთა მეგობრობაზე გამოვიდა თეატრალური მუზეუმის დირექტორი, დრამატურგი ამხ. გ. ბუხნიკაშვილი. ამ ორი ხალხის მეგობრობას ფესვები ძალიან შორეულ წარსულში აქვს გადგმული. — სთქვა ამხ. ბუხნიკაშვილმა. მან მოიყვანა მრავალი მაგალითი, თუ ქართველი ხალხი როგორის ენტუზიაზმით და სიყვარულით ხვდებოდა უკრაინის თეატრალური კოლექტივების გასტროლებს თბილისში. 1889 წელს, 50 წლის წინად, პირველად ესტუმრა თბილისს უკრაინის თეატრი. შემდეგ წელს მეორე თეატრი ესტუმრა საქართველოს. გაზეთი „ივერია" ფართოდ აშუქებდა უკრაინის თეატრის გასტროლებს. „ივერიამ" მოწინავე წერილიც კი მოუძღვნა მას: ამ მეთაურში ილია ჭავჭავაძის გაზეთი ქართველი ხალხის სახელით თანაგრძნობას უცხადებდა უკრაინის ხალხს და მაღალ შეფასებას აძლევდა უკრაინის ნაციონალურ თეატრალურ ხელოვნებას. გაზეთი სწერდა:

„თითქმის თვეზე მეტია, რაც თბილისში მოღვაწეობს მალოროსების დრამატიული დასი ბ-ნ სტარიცკისა და თვის მშვენიერ წარმოდგენებით დაიმსახურა სრული თანაგრძნობა და სიყვარული არა თუ მარტო აქაურის რუსებისა, არამედ ქართველებისაც. ეს თანაგრძნობა ცხადად სჩანს იმითიც, რომ ყოველი წარმოდგენა მალოროსებისა სავსეა ხოლმე მაყურებლებით, ასე რომ ზოგჯერ ადგილის უქონლობის გამო გასავალშიც სკამებია ჩაჩხირული".

„ივერია" შემდეგ აღნიშნავდა, რომ ამ თეატრს უკრაინის არისტოკრატია და მემამულეები ალმაცერად უყურებდნენ, დაცინვის, გაკილვის საგნად ჰქონდათ გადაქცეული. სამაგიეროდ მშრომელი ხალხი დიდის აღფრთოვანებით ჰხვდებოდა უკრაინული თეატრის წარმოდგენებს. დარბაზი გაჭედილი იყო ყოველთვის. პოლიციას არ ეპაშნიკა თეატრისადმი ხალხის ასეთი გულთბილი დამოკიდებულება. იგი „უწესოებას" უწოდებდა ამ ამბებს. „ივერია" ამის შესახებ სწერდა:

„...პოლიცია უწესოების მოსასპობად იძულებული შეიქნა აეკრძალა მალოროსებისათვის წარმოდგენები. უმაღლესმა მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და რამოდენისამე ხნით აუკრძალა არტისტებს ქალაქებში ცხოვრება. უმთავრესი არტისტები მიიფანტ-მოიფანტნენ სოფლებში, მაგრამ იმედს არ ჰკარგავდნენ, რომ ოდესმე იმათაც ბედი გაუღიმებდა. მართლაც ასე მოხდა. ამ ორი წლის წინად ბ-მა კრაპივნიცკიმ გაჰბედა და წავიდა თავისი დასით სატახტო ქალაქს პეტერბურგში".

შემდეგ „ივერია" სათანადო შეფასებას აძლევს გასტროლებს. ხაზგასმით აღნიშნავდა გაზეთი უკრაინული პიესების „განსაკუთრებულ თვისებას", რაც „უნებლიეთ" იზიდავს ხალხის გულს. ეს თვისებაა,—სწერდა გაზეთი,—„სიმარტივე და სინამდვილე იმ ცხოვრებისა, რომელსაც ჰხატავს..."

ყოველი საღამო, თეატრალური კოლექტივის ყოველი გამოსვლა თბილისში დიდ დემონსტრაციად იქცეოდა,—განაგრძო ამხანაგმა ბუხნიკაშვილმა,—ეს იყო ორი ერის პროტესტი ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ.

გავიდა წლები და განთავისუფლებული ხალხები,—განაგრძო ამხ. ბუხნიკაშვილმა, — **ლენინ - სტალინის** ძლევამოსილი პარტიის ხელმძღვანელობით აგებენ ახალ, ლაღ ცხოვრებას. ახლა უკრაინის მინდვრებზე და ქარხნებში განუწყვეტლივ გაისმის მხიარული სიმღერა, რაც ცხადჰყოფს ხალხის ბედნიერ ცხოვრებას.

დამსწრე საზოგადოებამ უდიდესი ყურადღებით მოისმინა შევჩენკოს სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის მ. კრუშელნიცკის საუბარი თეატრის შემოქმედებითი გზების შესახებ.

1922 წელს სტუდიის სახით ჩამოყალიბდა ეს თეატრი კიევში. იგი მომსახურეობას უწევდა წითელ არმიას. ეს იყო დიდი ენტუზიასტების მცირე კოლექტივი, რომელიც თავდადებულად იბრძოდა თავის საქმისათვის. ჩვენი თეატრის ისტორიაში,—სთქვა კრუშელნიცკიმ,—ეს პერიოდი ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი პერიოდი იყო.

1926 წლიდან თეატრი სამუშაოდ გადადის ხარკოვში. ამ პერიოდში, თეატრის ხელმძღვანელობა უკრაინის განათლების კომისარიატში მოკალათებულ ნაციონალისტებთან ერთად ცდილობდა—ჩამოეშორებია თეატრი დიდი რუსი ხალხის კულტურისათვის, აეღო გეზი ბურჟუაზიულ დასავლეთისაკენ. თეატრი ჩამოშორდა ცხოვრებას, მასას, მოემწყვდა ჩიხში.

პარტია დაეხმარა თეატრს განთავისუფლებულიყო მტრების გავლენისაგან და გამოსულიყო იგი ნამდვილ სწორ შემოქმედებითს გზაზე. და მართლაც შევჩენკოს სახელობის თეატრი გარდაიქცა დიდი გმირული სპექტაკლის თეატრად, რევოლუციური რომანტიკის თეატრად.

კომუნისტურმა პარტიამ უდიდესი დახმარება გაუწია თეატრს, შეუქმნა რა მას შემოქმედებითი მუშაობისათვის ყოველგვარი პირობა.

შემდეგ კრუშელნიცკიმ აღნიშნა თეატრისათვის მოსკოვისა და თბილისის გასტროლების უდიდესი მნიშვნელობა.

კრუშელნიცკის სიტყვის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს შევჩენკოს სახელობის თეატრის მსახიობებმა ი. მარიანენკომ და რ. ივიცკიმ, თბილისის თეატრების მსახიობებმა ჰ. კობახიძემ, ვ. გოძიაშვილმა და ლ. კავსაძემ, შევჩენკოს თეატრის მსახიობთა მომღერალმა გუნდმა, ჯარდიაშვილის ხელმძღვანელობით არსებულმა ტრიომ და სხვებმა.

ხელოვნების ოსტატთა კლუბში მოწყობილმა ამ შეხვედრამ კიდევ უფრო მეტად ხელი შეუწყო საქართველოსა და უკრაინის ხელოვნების მუშაკთა დაახლოებას.

სალიტერატურო წრეების მეხუთე საქალაქო შეკრება

სალიტერატურო წრეების მეხუთე საქალაქო შეკრებამ, რომელიც 10 ივლისს საღამოს შესდგა მწერალთა სასახლეში, ცხადჰყო, რომ მასობრივ - ლიტერატურული მოძრაობა საქართველოს დედა-ქალაქში ვითარდება და ძლიერდება. ამხ. ს. წვერავას საინფორმაციო მოხსენებამ წრეების მუშაობის შესახებ, ამხ. ვ. გორგაძის მიერ ახალგაზრდა ავტორთა ზოგიერთი ნაწარმოების გახილვამ და კამათმა გამოსულ წრის წევრთა საქმიანმა კრიტიკამ მკაფიო წარმოდგენა მოგვცა იმაზე, თუ როგორ მუშაობენ წრეები და რა უშლის ხელს წრეების წევრთა შემდგომ იდეურ-მხატვრულ ზრდას. ამხ. ს. წვერავას მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წრეების რიცხვი ამ 3-4 წლის მანძილზე უცვლელი, სტაბილური რჩება. წინანდელსავით თბილისში 13-დე წრე არსებობს, მაგრამ გაზრდილა წევრთა რიცხვი, შემცირებულა დენადობა, გაუმჯობესებულა მუშაობის ხარისხი.

თავიანთი დანიშნულებისა და ამოცანების მიხედვით წრეები სამ ჯგუფად იყოფიან: შემოქმედებითი წრეები არსებობენ მასწავლებელთა სახლთან, პლეხანოვის სახ. კლუბთან, საქ. მწერალთა კავშირთან; ნარევად შემოქმედებითი და მკითხველთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი წრე — ვოროშილოვის სახ. კლუბთან, საღამოს 10-წლედთან, ჯაფარიძის სახ. ბიბლიოთეკასთან; საკუთრივ მკითხველთა წრეები — საზ. კვების კლუბთან, ცეკავშირთან, სახვაჭრობის სამმართველოსთან, კიროვის ქარხანასთან, ფეხსაცმლის ახალ ფაბრიკასთან და ნინოშვილის სახელობის სამკითხველოსთან. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მასწავლებელთა სახლის შემოქმედებითი წრის მუშაობა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ ლიტერატორები, მასწავლებლები, სტუდენტები, საშუალო სკოლის მოწაფეები და ზოგიერთი მუშები. ნაყოფიერი იყო აგრეთვე პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებული წრის მუშაობა, რომლისაც ხელმძღვანელობს პოეტი ვ. გორგაძე. მწერალთა კავშირთან არსებულ ორ წრიდან მუშაობდა მხოლოდ რუსული წრე, ქართულმა კი პირველი მეცადინეობის შემდეგ სრულიად შესწყვიტა არსებობა, წელს, გასულ წელთან შედარებით, რუსული წრე უკეთ მუშაობდა. მან დაამუშავა შემდეგი მნიშვნელოვანი თემები: მხატვრული სიტყვის ძირითადი თვისებები და ახალგაზრდობა ნ. ოსტროვსკის და ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებაში. მანვე სპეციალური საღამოები მიუძღვნა ტარას შევჩენკოს, ოვანეს თუმანიანის, შალომ-ალეიხემის და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას. წრემ თავის გარშემო შემოკრიბა ნიჭიერ ახალგაზრდა ავტორთა მტკიცე აქტივი.

სისტემატიურ გეგმიან მუშაობას ეწეოდა ვოროშილოვის სახელობის კლუბთან არსებული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს მწერალი რ. ქორქია. წრე უმთავრესად სწავლობდა იმ მწერალთა შემოქმედებას, რომელთა იუბილეები მიმდინარე წელს იქნა გადახდილი. წრემ განიხილა აგრეთვე ლეო ქიაჩელის ორი ნაწარმოები, ა. ტოლსტოის „პური", ჟურნალ „მნათობში" გამოქვეყნებული მხატვრული პროზა, დაამუშავა თემა — „ბელადის სახე ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და ფოლკლორში" და ამ ნაწარმოების განხილვასთან დაკავშირებით რამდენიმე მეცადინეობა მიუძღვნა ლიტერატურის თეორიის საკითხებს.

ცეკავშირთან არსებული მკითხველთა ლიტერატურული წრე ერთერთ საუკეთესო წრედ ითვლება. იგი უმთავრესად შესდგება მოსამსახურეებისაგან, რომელთაგან ბევრს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. დასამუშავებელ თემს თვით წრის წევრები აყენებენ. ხშირად ამა თუ იმ ლიტერატურული თემის დამუშავება უკავშირდება პარტიის ისტორიის შესწავლას. წრე აქტიურად გამოეხმაურა მიმდინარე წლის ლიტერატურულ თარიღებს, გაარჩია და შეისწავლა რა შემოქმედება იმ მწერლებისა, რომელთა თარიღებიც წელს იქნა აღნიშნული. წრეს დიდ დახმარებას უწევს როგორც ცეკავშირის პრეზიდიუმი, ისე პარტკომი, კომკავშირი და ადგილკომი.

კარგად მუშაობს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან არსებული წრეც. იგი კვალიფიციური მკითხველებისგან შესდგება. წრემ დაამუშავა შემდეგი თემები: კულტურული მემკვიდრეობა და სოციალისტური კულტურა, ქართული მწერლობის განვითარების ძირითადი ეტაპები. შეისწავლა ქართული რომანტიკოსები — ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედება, გაარჩია გიორგი ერისთავის, ლ. არდაზიანის, დან. ჭონქაძის ნაწარმოებები და სპეციალურად ერთი მეცადინეობა მიუძღვნა ტარას შევჩენკოს ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

სანიმუშოდ არის მეცადინეობა დაყენებული კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანასთან და ფეხსაცმლების ახალ ფაბრიკასთან არსებულ წრეებში, რომლებსაც ხელმძღვანელობს ამხ. ბახტამოვი. წრეები ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას, აღვივებენ ინტერესსა და სიყვარულს მხატვრულ ლიტერატურისადმი და ეხმარებიან დამწყებ ავტორების შემოქმედებითს მუშაობას. წრეები სისტემატურად უშვებენ ლიტერატურულ კედლის გაზეთებს, სადაც აქვეყნებენ წრის წევრთა მხატვრულ ნაწარმოებს. წრეში აღიზარდა რამდენიმე ახალგაზრდა ლიტერატორი, რომელთა ნაწერები თბილისის ბეჭდვითს ორგანოებში იბეჭდება.

ამხ. ვ. გორგაძე შეჩერდა ახალგაზრდა დამწყებ ავტორების მუშაობაზე, აღნიშნა მათი თემატიკის აქტუალობა და მოკლედ განიხილა ზოგიერთი მათგანის (რუსუდან გურამიშვილის, გ. ჭიჭოშვილის და კ. არველაძის) ლექსები, რომელთაც ახასიათებს უშუალობა, კომპოზიციური მთლიანობა და სუფთა ლიტერატურული ენა. ი. ბახტამოვმა აუდიტორიას გააცნო თავისი წრის მოწინავე წევრები, ახალგაზრდა პოეტების — ნემცეროვის, ნ. ტოლსტონოსოვის შემოქმედება. ხაზგასმით აღნიშნეს აგრეთვე მწერალთა კავშირთან არსებული წრის წევრების ტარასევიჩის, ბოგდანოვის, პიჩადიოვის, ხრაბროვიცკის, ივანოვას, ლევიცკის, გუდლეიჩის და სხვათა შემოქმედებითი ზრდა.

მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში ამხანაგები ბ. ლევიცკი, ვ. ხალიფაშვილი, რ. ქორქია, ნ. კარაშვილი, გ. თავაძე, სანდრო ეული, ვ. ქადაგიშვილი, შახბაზოვი და სხვები უმთავრესად შეჩერდნენ წრეების ნაკლოვანებებზე და იმ მიზეზებზე, რომლებიც აფერხებენ მათ ნაყოფიერ მუშაობას. ამათგან მთავარია: ერთიანი პროგრამის უქონლობა, მეცადინეობის მეთოდიკის დაუმუშავებლობა, წრეების ხელმძღვანელთა თათბირების მოუწვევლობა და სხვ. მწერალთა კავშირის მასობრივი სექტორის სისუსტეს მიეწერება აგრეთვე ის, რომ არ ეწყობა წრის წევრთა შემოქმედებითი საღამოები, არ იქმნება ლიტერატურული წრეები უმაღლეს სასწავლებლებთან, სადაც ამის ძალიან დიდი მოთხოვნილებაა და სხვ.

ამხ. სანდრო ეულის დასკვნითი სიტყვის შემდეგ თავიანთი ნაწერები წაიკითხეს ახალგაზრდა ავტორებმა: გ. ქავთარაძემ, გ. წიბახაშვილმა, ბ. ლევიცკიმ, ფ. ქოიავამ, ივანოვამ, გ. ჭიჭოშვილმა, ნ. კარაშვილმა, ნ. შახბაზოვმა, კ. აბაიშვილმა, კ. აროსიამ, გრ. თავაძემ, გრ. ქივილძემ და ვ. ხალიფაშვილმა.

აკაკი წერეთელი

ყოველდღიურად მიდის წინ, იზრდება და ძლიერდება ჩვენი სოციალისტური ქვეყანა. სსრ კავშირში შემავალ ხალხთა შორის აყვავდა და გაიფურჩქნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. ყოველი განვლილი წელი აღინიშნება თვალსაჩინო წარმატებით როგორც საბჭოთა მეცნიერების, ისე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში.

ეს არის საერთო მძლავრი აღმავლობის გამოხატულება, რომელმაც მოიცვა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი, რომელიც **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით მიდის წინ კომუნიზმის მაღალ საფეხურისაკენ.

საბჭოთა ხალხმა საქმით დაამტკიცა, რომ ის ერთად-ერთი მემკვიდრეა იმ დიდი კულტურისა, რომელიც შექმნეს განვლილმა საუკუნეებმა.

უდიდესია ჩვენი მიღწევები კლასიკური მემკვიდრეობის ლენინურ-სტალინურად ათვისების საქმეში. გატაცებით დაეწაფა ჩვენი ხალხი დიდი კულტურული წარსულის შესწავლას.

ამის ნათელი მაგალითებია რუსთაველისა და პუშკინის, ილია ჭავჭავაძისა და შევჩენკოს იუბილეები, რომლებიც საყოველთაო სახალხო ზეიმებად გადაიქცნენ.

წარსულის დიდმა ადამიანებმა მხოლოდ საბჭოთა ქვეყნის სახით იპოვეს თავიანთი ნამდვილი სამშობლო, მხოლოდ საბჭოთა ხალხის სახით ჰპოვეს მათ თავისი ნამდვილი დამფასებელი.

ახლოვდება აკაკი წერეთლის იუბილე. მომავალი წლის იენისში სრულდება ასი წელი ამ დიდი მწერლის დაბადებიდან.

ეს იქნება ბრწყინვალე თარიღი საბჭოთა კულტურის მატიანეში.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო აკაკის სამწერლო მოღვაწეობა. მან გაამდიდრა ქართული მწერლობა საუცხოო მოთხრობებით და დრამატიული ნაწერებით. ბასრი და ფხიანი იყო მისი კალამი პუბლიცისტიკასა და ლიტერატურულ კრიტიკაში. მაგრამ მთავარი ძარღვი აკაკი წერეთლის შემოქმედებისა არის მისი ღრმად მგრძნობიარე და ღრმააზროვანი ლირიკა, რომლის არაჩვეულებრივი მუსიკალობა, მდიდარი ემოციურობა, ხალხურობა და სისადავე დღესაც ხიბლავს და იტაცებს და მომავალშიც გაიტაცებს მკითხველს. მთელი თავისი შემოქმედებითი ძალა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე აკაკი წერეთელმა მოახმარა ქართველი ხალხის როგორც სოციალური, ისე ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას.

სიჭაბუკეშივე, სამოციან წლებში, აკაკიმ პეტერბურგში შეითვისა მებრძოლი რადიკალური ინტელიგენციის მოწინავე მსოფლმხედველობა. აკაკი თავისი შემოქმედებით „თერგდალეულთა" თაობას ეკუთვნოდა. იმ ცხარე ბრძოლაში, რომელიც სამოციან წლებში „მამებსა" და „შვილებს" შორის გაიმართა, აკაკიმ მხურვალე მონაწილეობა მიიღო. თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით იგი ილია ჭავჭავაძესთან ერთად მეთაურობდა ნაციონალ - განმანთავისუფლებელ მოძრაობას, ქართული რეალისტური ლიტერატურის აყვავებასა და გაფურჩქნას. ეს იყო რეალიზმი, რომელიც გამომხატველი იყო ქართველი ხალხის თავისუფლების მოყვარე ოცნებებისა.

საქართველოს წარსული და აწმყო, ქართველი ხალხის ცხოვრება, — ეს იყო აკაკი წერეთლის შემოქმედების მთავარი თემა. სამშობლოს სიყვარული — ეს ის გრძნობაა, რომლითაც გაჟღენთილია აკაკის ყველა ლექსის სტრიქონები, ყველა მოთხრობა და პოემა.

აკაკის შემოქმედებაში ნათელი გამოხატულება ჰპოვა ქართველი გლეხკაცობის უნუგეშო მდგომარეობამ. ის ფართოდ და საფუძვლიანად იცნობდა გლეხის ცხოვრების ჭირსა და ლხინს. ბავშვობიდანვე შთაენერგა მას გულში ხალხის უღრმესი სიყვარული. დემოკრატიული სულისკვეთება მის შემოქმედებას თან დაჰყვა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე. თავის ადრინდელ ლექსებში აკაკი წერეთელმა მკაცრად დაჰგმო ბატონყმობის ველური წესწყობილება. რეფორმის შემდეგ პერიოდში აკაკი წერეთელი ნათლად ხედავდა, რომ „განთავისუფლებამ" არავითარი შეღავათი არ მოუტანა გლეხკაცობას. ამიტომ იყო, რომ მის შემოქმედებაში კვლავ ისმოდა მრისხანე პროტესტისა და ბრძოლისაკენ მოწოდების ძლიერი ხმები. აკაკი უდიდესი აღფრთოვანებით შეეგება 1905 წლის რევოლუციას.

აკაკისათვის უცხო იყო ნაციონალური კარჩაკეტილობა. მისი შემოქმედება ყველა ერის მშრომელთა უგულითადეს მისწრაფებებს გამოხატავდა. აკაკის პატრიოტიზმი იყო ინტერნაციონალურ ღუღაბზე აშენებული სიყვარული სამშობლოსი. დიდი პოეტი ნათლად ხედავდა, რომ თვითმპყრობელობის უღელი ერთნაირად მძიმე და მტანჯველი იყო ყველა ხალხისათვის, რომელიც თვითმპყრობელურ იმპერიაში, ამ ხალხთა საპყრობილეში ცხოვრობდა.

აკაკისადმი სიყვარული ისე ძლიერი იყო, რომ ხალხი თვითმპყრობელობის ბატონობის შავბნელ ხანაში მაინც ახერხებდა პატივი ეცა და მეგობრული ხელი გაეწოდა თავისი დიდი მწერლისათვის. 1882 წლის სექტემბერში ილია ჭავჭავაძე სწერდა: „ჩვენდა სასიხარულოდ ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილ კაცისა, საჯაროდ მადლობის გადახდა მისი, ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შეეწევნია თავის მამულსა და თანამემამულეს. ამისი მაგალითი აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინად გორში და ამ ბოლო ჟამს კახეთში. ერთგან და მეორეგანაც შესაბამის პატივით დახვედრია ქართველობა თავის პოეტს და პირუთვნელის სიტყვით გამოუცხადებია თავისი მადლობა და პატივისცემა მისთვის, ვინც ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოცდახუთ წელიწადში ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას... ამ სიყვარულის აღფრთოვანებაში აკაკის გამოჩენილი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში".

ახლა, როცა ჩვენი ხალხი მთელი მკერდით სუნთქავს თავისუფლების გამაცოცხლებელი ჰაერით, როცა **ლენინ-სტალინის** პარტია დაუღალავად ზრუნავს ჩვენი კულტურის აყვავებისა და გაფურჩქნისათვის, მთელი საბჭოთა ხალხი პატივისცემით იგონებს, სწავლობს და აფასებს წარსულის დიდებულ ადამიანებს.

აკაკის იუბილე არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის კულტურის ზეიმია. ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ აკაკის შემოქმედება ყველა საბჭოთა ხალხის კუთვნილებად აქცია.

ქართულ საბჭოთა მწერლობის ღირსებისა და მოწოდების საქმეა სავსებით და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს აკაკი წერეთლის იუბილეს.

ვემზადებით დიდი ქართველი პოეტის იუბილესათვის

ამ ათი წლის წინათ სოფელ სხვიტორში, დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის სამშობლო სოფელში, ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა. კოლმეურნეთა ინიციატივით მას აკაკის სახელი ეწოდა. კოლმეურნენი ამბობენ:

— აკაკი მშრომელი ხალხის მომავე იყო, მუდამ ესარჩლებოდა მას; სძულდა მუქთახორები, თავისი ლექსებით ამათრახებდა მეფის მთავრობას. გვახსოვს დიდებული მგოსნის სიტყვები,რომლებიც მან 1861 წელს სთქვა:

„ჩვენი ჯაფით მონაყვანი
სხვასთან მიდის საზრდო პური,
შინ ცოლშვილს შიმშილი
გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?"

აკაკის ლამაზი ლექსები გვამხნევებდნენ, ძალას გვმატებდნენ. აკაკის სწამდა, რომ

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!
სიხარულად შეეცვლება,
ამდენი ხნის გასაჭირი!"

პოეტის ოცნება ასრულდა. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი გახდა თავისუფალი, მიაღწია სამურ და ბედნიერ ცხოვრებას.

ზოგიერთი მოხუცი კოლმეურნე კარგად ახსოვს დიდი პოეტი. ა. ზაბახიძეს, ი. ომიაძეს, ს. გოშაძეს, ს. კირვალიძეს, ა. მაჭარაშვილს, ხ. სარალიძეს არაერთხელ უსაუბრიათ აკაკისთან, მოუსმენიათ მისი მამობრივი რჩევა-დარიგება და გამამხნევებელი სიტყვები.

მათ ახსოვთ ის სამწუხარო დღე, როდესაც აქ, სხვიტორში, თავის სახლში, აკაკიმ სამუდამოდ დახუჭა თვალი.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით ატარებენ გულში აკაკის ხსოვნას, ბეჯითი შრომით სცდილობენ განამტკიცონ კოლმეურნეობა, გახადონ იგი მოწინავე.

კოლმეურნეობის სამკითხველოში ვაწყობთ აკაკის კუთხეს. აქ იქნება აკაკის სურათი, მის თხზულებათა სრული კრებული, სხვადასხვა მასალა აკაკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ თვითეული კოლმეურნე საფუძვლიანად იცნობდეს აკაკის შემოქმედებას. განზრახული გვაქვს საუბრებისა და მოხსენებების ჩატარება ამ საკითხების ირგვლივ.

ჩვენ ხელს ვკიდებთ აკაკის ახლო ნაცნობთა მოგონებების ჩაწერას და აკაკის შესახებ ხალხური ლექსების შეგროვებას.

ჩვენი კოლმეურნეობის ერთერთ ბრიგადას, რომელიც სტახანოვურად შეასრულებს ყველა დავალებას, აკაკის სახელს ვუწოდებთ.

კოლმეურნეებმა შემოიტანეს წინადადება — აღიძრას შუამდგომლობა, რათა სხვიტორის არასრულ საშუალო სკოლას აკაკის სახელი ეწოდოს.

ლენინ-სტალინის დიადი პარტია, საბჭოთა ხელისუფლება დიდად აფასებენ აკაკის შემოქმედებას, მის მდიდარ მემკვიდრეობას, რაც მშრომელთა საკუთრებად გადაიქცა.

აკაკის სახელობის კოლმეურნეობა სანიმუშოდ მოემზადება დიდი პოეტის იუბილესათვის და ღირსეულად ჩაატარებს მას.

აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
ი. აბრამიშვილი.

ხ. სხვიტორი

კარლო კალაძის ლექსები

კარლო კალაძე „ხერთვისის განთიადების" შესავალში სწერს:

„ვნახე ასპინძა, რუსთავი, ხერთვისი, ხიზაბავრა და ბარალეთი. დღეს აქ თავისუფლად ცხოვრობს მრავალი ეროვნება.

ზოგნი ეხლაც ესახლებიან.

ადრე-კი ომების სარბიელი იყო და დარჩენილან დანგრეული ციხეები, საყდრები, სადაც სამარეებზე ჯვრების მაგიერ ქვის თეთრი ვერძები გამოუქანდაკებიათ".

ორი ეპოქა უპირისპირდება ამ ლექსებში ერთი მეორეს: მრავალსაუკუნოვანი წარსული, რომელსაც გადამწვარი ხრიოკი დაუტოვებია, და ჩვენი დიდებული აწმყო, რომელსაც ამ მხარისათვის სიცოცხლე დაუბრუნებია. სიცოცხლის დაბადების ეს დიდი რომანტიკა წარმტაცი თემაა მწერლისათვის.

ჩვენს დიდებულ დროში ამ წარსულის თემამ ახალი განათება მიიღო. სოციალისტური რევოლუციის პირველსავე დღიდან ჩვენს სამშობლოში ყველა ერსა და ხალხს მიეცა აყვავებისა და აღორძინების განუსაზღვრელი შესაძლებლობა. და ამ პირველი დღიდანვე სწრაფად დაიწყო შეხორცება ყველა ჭრილობამ, რომელიც ხალხებსა და ერებს მიაყენეს ბნელი წარსულის ომებმა და კლასობრივმა ჩაგვრამ. დღეს ყველა ხალხისათვის განხორციელებულია საუკუნეებით ნანატრი ოცნება თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების შესახებ.

ამ მიდგომით აშუქებს საბჭოთა პატრიოტიზმის თემას, მშობლიური მიწის ღრმა და ყოვლისმომცველი სიყვარულის თემას კალაძის „ხერთვისის განთიადები".

ამ ლექსებში ჩვენ ვკითხულობთ ქართლის ძველ უბედობასა და ახალ ბედნიერებას. ვკითხულობთ ჩვენს ხალხზე და ჩვენს წარსულზე. მათში ჩვენ ვხედავთ, რომ იქ, სადაც ბნელ წარსულში ძალით ამოთხარეს და ამოწვეს ცხოვრების ფესვები, ახალი ფესვები გადგმულან და გალაღებულან. აი, რას ამბობს პირველი მოსახლე ომების შემდეგ:

„... მთების დუმილში
გულხარბად ამღერებულმა,
შენობის კედლად კლდე მოვჭერ
ისევ სოფლის ახლო.
ომების შემდეგ — ღარიბი
მემკვიდრე დავბრუნებულვარ
ტალკვესით კერა ავანთე
და ტბის ნაპირად ვსახლობ".

„ხერთვისის განთიადებში" პოეტი ეთნოგრაფიულ ჩარჩოებში არ ჩაკეტილა. მან დაგვიხატა საერთოდ სიცოცხლის აყვავების სურათი, ქვის ქალაქების დაბადება, რომელთაც თავიანთი გენეალოგია ათეული წლების წინ ამ პატარა სახლებით დაუწყიათ. ადამიანთან ერთად ხელახლა აღორძინდება მთელი ბუნებაც. ამიტომ ამ ლექსებში პეიზაჟი მარტო ფონი კი არ არის, ის მთავარი გმირია ადამიანთან თანაბრად. ლექსს მთების მემკვიდრეზე მოსდევს ლექსი „კალმახთა ამბავი", რომელშიაც გამოხატულია ბუნების სიცოცხლის სიყვარული და სტიქიური ძალა მისი უხვი ნაყოფიერებისა, რომელიც ადამიანის კეთილდღეობის ასპარეზად გადაქცეულა. ლექსში აღწერილია კალმახი, რომელმაც მეთევზის ბადე გაგლიჯა და ხმელ ბალახში დაეცა. ბავშვივით მკლავებზე გადაიწვენს მას მეთევზე. და შემდეგ პოეტი სწერს:

„ოქროსფერ ქვირითს უშველე,
გაჩენას ნუღარ დაუშლი,
დე მოაშენე თევზი და
მერე წაიღოს წყალმაც..
ეგ უთვალავი კალმახი
საღამოს ტბაში ჩაუშვი,
რომ ჯავახელი აქებდე
ქერის პურსა და კალმახს".

„ხერთვისის თქმულებაში" პოეტი აცოცხლებს იმ ადამიანთა სახეებს, რომელნიც წინ უსწრებდნენ თავიანთ დროს და ამის გამო იღუპებოდნენ. ხერთვისული თქმულება ადამიანის გაფრენაზე საოცრად ემთხვევა ანტიური საბერძნეთის თქმულებას იკარის სანთლის ფრთების შესახებ. ადამიანის გონებას ეს ფანტაზია არასოდეს არ ასვენებდა. რომ არ მივიღოთ მხედველობაში ამირან-დარეჯანისძის გადაფრენა მტრის ციხეში ფრინველის საშუალებით, ამის გარეშეც არაერთ თქმულებასა და ზღაპარში ინატრა ადამიანმა სივრცეების დაპყრობა. მაგრამ ხერთვისული თქმულება ყველაზე უფრო ტრაგიკულია და ადამიანური, ის ყველაზე უფრო ახლოა ცხოვრებასთან, იგი შექმნილია ზღაპრული ელემენტის ჩაურევლად: ახალგაზრდა ოსტატს კოშკიდან ჩამოსასვლელი გზა გადაუჭრეს, მან უცებ ბრწყინვის ფრთების მსგავსი ფიცარი გამოსჭრა და გადმოფრინდა, მაგრამ ხელოსნის ჩვეულებისამებრ ხელიჩო დარჩენოდა ქამარში და მიწაზე დაცემისას ხერხემალი დაჰკრა ალესილ რკინას.

ეს თქმულება საუცხოოდ გამოიყენა პოეტმა, ერთის მხრივ, ძველი ოსტატების შავი ბედის დასახატავად, ხოლო მეორეს მხრივ — მძაფრი პარალელისათვის თანამედროვეობასთან, როცა ოდესღაც მიყრუებულ, ახლა კი განახლებულ სოფლების თავზე

„ქოლგით სეირნობს ჩოგონა
სადმე ღრუბლების პირას".

და პოეტი, ეხება რა საბჭოთა მფრინავების ვაჟკაცობასა და ძლევამოსილებას, კვლავ იგონებს საუკუნეების წინ დაღუპულ ოსტატს. იგი მიმართავს მფრინავს:

„ხერთვისიც ნახე, — ხალისი
მას უნდა გაუზიარო:
ვინც ერთხელ მხრები გაშალა
და ბრწყინვა სურდა".

მჩქეფარე წყაროსავით სცემს და ხმაურობს ახალი ცხოვრება მესხეთში. „შუქი ეფრქვევა სამშობლოს", როგორც ამბობს პოეტი და სამშობლოს ღვიძლი შვილები ისე ამაყად დაჰქროლავენ ცის ლაჟვარდებში, „ღრუბლებისა და ლეგენდების მაღლა", რომ თვალსაც ვერ მიაწვდენ. ძლიერი, უნაზესი სიყვარულით ლაპარაკობს პოეტი ამ ახალ საბჭოთა ადამიანებზე. განსაკუთრებით კარგია პარაშუტისტი ქალისა და მფრინავი ვაჟის შეხვედრა თავფარავანის ველზე („უცნობი ქალვაჟი და მებადური"). ამ ლექსში მთელი პოეტური არსებით არის შეგრძნობილი თავფარავნელი ჭაბუკების ცხოვრების გაზაფხული.

ასეთები არიან კალაძის ლექსების გმირები წარსულისა და აწმყოს ცხოვრებიდან: წარსულიდან ასეთია ოსტატი, რომლის მადლიან მარჯვენას აქებს პოეტი („როგორც უმცროსმა მოწაფემ გამოვძებნე და ვაქე"), მწყემსი, რომლის საფლავის მფარველად ისევ გლეხური შრომის სიმბოლო — ვერძის ქანდაკება დარჩენილა („მთების მემკვიდრე"), ხოლო აწმყოში დიდებული საბჭოთა ახალგაზრდობა. ამ მძაფრ კონტრასტშია ხერთვისის განთიადების პოეტური და პოლიტიკური სიმახვილე.

ეს ღრმა აზრიანი ხელოვნებაა. ცხადია იგი მხატვრულ სფეროში რაღაც თავისებურ ცვლილებებს მოითხოვდა. ეს ძიება მხატვრულ სფეროში კალაძემ დაიწყო, სხვათა შორის, იმითაც, რომ სცადა გამოეყენებინა ტრადიციები აღმოსავლური პოეზიისა. მკითხველს კარგად ახსოვს მისი რუბაები, მისი გატაცება ცამეტი წლის წინად აღმოსავლური ლირიკის კილოს ხმებით. ერთი რუბაი („აქ ერთხელ ზღვის პირას") ახალი ლექსების წიგნშიც შეუტანია მას. როცა ყურადღებით ვაკვირდებით პოეტის ამ ძველ და ახალ რუბაებს, ნათელი ხდება, რომ აზიას კალაძისათვის ეგზოტიკის მნიშვნელობა არა ჰქონდა, მას არ იტაცებდა აღმოსავლური პოეზიის სპეციფიური რომანტიკა. რუბაის ჟანრს, რომლითაც ასე მდიდარია ირანის პოეზია, მეორე, უფრო მნიშვნელოვანი მხარე ჰქონდა, ეს იყო მისწრაფება — დაეტვირთათ ლექსი ღრმა აზრით. კალაძე იღებდა აღმოსავლური პოეზიისაგან არა მის გადაჭარბებულ ფიგურალობას, არამედ ცდილობდა ირანულის მსგავსად თავის ლექსებისათვის მიეცა მეტი სიღრმე და ექსპრესია, მეტი გულწრფელობა და დამტეობა სახისა და სიტყვისათვის. ამის გამოა, რომ რუბაი კალაძის შემოქმედებაში მკვდარ ანაქრონიზმად არ გამოიყურება. ის რაღაც ახლებურად გაცოცხლებულია და, როგორც მხატვრული ფორმა, კარგად ითავსებს სულიერად მძაფრად განცდილ სახეებს. საინტერესოა, რომ რუბაებში, რომლებსაც ერთხელ კალაძემ ირანული სათაურიც კი წააწერა, მაინც იგრძნობა ის თავისებურება, რომელიც დასაბამიდან ანსხვავებდა ქართულ პოეზიას ირანულისაგან

ფორმირება რეალისტური სტილისა და ძიება ნათელი, იმავე დროს აზრიანი ხელოვნებისა კალაძის პოეზიაში მით უფრო საინტერესოა, რომ იგი გამოხატავს რეალურ მსოფლიოს პლასტიური და საგნობრივი ასახვის დამკვიდრებას ჩვენს ლიტერატურაში, ნაცვლად განწყობილებების პოეზიისა, რომელიც მარტო შთაბეჭდილებათა და მოგონებათა ფსიქოლოგიურ კოორდინაციაზე იყო დაფუძნებული. ამ უკანასკნელში აზრი განსჭვრეტითი იყო, ფანტაზია — უსხეულო, სურათს და ხშირად აზრსაც მუსიკალობა სცვლიდა.

ახალ პოეზიაში კი ღრმა ლირიულობასთან ერთად, თვალსაჩინოა პლასტიური მსოფლშეგრძნობა. სოციალისტური რეალიზმისათვის აუცილებელია ამ ტრადიციის — კლასიკური რეალიზმის ტრადიციის — განახლება. პოეტისათვის საჭიროა ინტელექტუალური გაზომვა მოვლენის, ისტორიისა და აწმყოსი და არა მარტო წმინდა ემოციურობა.

ასეთი პოეზიის ცდაა „მთების ეპოსი".

იდეათა და სახეთა ფართო წრეა მასში აღებული. პოეტს უცდია გამოეხატა ბუნება მის ძლევამოსილებასა და ბუმბერაზობაში, გამოეხატა მისი სილამაზე და სიუხვე — ცამდე ამაღლებული მთები, რომელთაც ყველა ქვეყნის ქარის ხმა ესმის, ხნიერი მუხნარი, წყლის მიერ წალეკილი და ქვესკნელში ჩაფლული ტყეები, ქვანახშირად რომ ქცეულან და „შენახულ ავლადიდებას გვანან", დედამიწა, რომელსაც ფართოდ გადაუხსნია თავისი მკერდი, ერთის სიტყვით, მთელი ბუნების მადლი და ბარაქა, — ეს ვრცელი სარბიელი შრომისა.

ამ ფონზე პოეტი სახავს საბჭოთა საქართველოს დაბადებას და მის სიდიადეს.

მკაფიო ნიმუშია სურათოვანი და სახოვანი პოეზიისა პატარა ლირიული ლექსი „საღამო". ხოლო „იმერული მოთხრობა" მართლაც მთელი მოთხრობაა გლეხურ ყოფა-ცხოვრებაზე. ფერწერის ენით რომ ვსთქვათ, ეს საუცხოო ჟანრული სურათია, რომელშიაც მოსჩანს ხეობა შებინდებისას, გლეხის ოდა, რომელშიაც მოწაფეებს ჩასძინებიათ და სასთუმალთან ჩანთები უკიდიათ, ოდა, რომელშიაც დაცქრიალებენ გლეხის შავთვალა ქალიშვილი და რძალი; მოხუცი კი ჭურებთან ზის გრძელი ყალიონით. კარგადაა ნაჩვენები ამ ლექსში იმერლის წაუბაძველი ზრდილობა და სიდარბაისლე. უბრალო ყოფითი პროზაიზმები ამ ლექსში გადადნობილია მომხიბლველ და ხალისიან ლირიკად.

კარლო კალაძის ახალი წიგნი უკვე თავისუფალია იმ წვრილბურჟუაზიული გავლენისაგან, რომელიც ადრე ჭარბად გვხვდებოდა მის შემოქმედებაში. მისი უკანასკნელი პერიოდის ლექსები გაჟღენთილია საბჭოთა პატრიოტიზმის სულით. განსაკუთრებით მძაფრადაა გამოთქმული ეს დიდებული გრძნობა კალაძის ლექსებში სამხედრო თემებზე („წითელი ჯარის ასვლა მყინვარზე", „გიორგი", „ამბავი აჭარელ ამხანაგებზე" და სხვ.). ამ ლექსებში პოეტი ხატავს ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიის გმირულ საქმეებს, მის განუყრელ მთლიანობას ხალხთან, მთელი საბჭოთა ხალხის უღრმეს და უძლეველ სიყვარულს ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი.** პოეტი გვიხატავს როგორ იმორჩილებენ დიდი **სტალინის** გენიით შთაგონებული წითელი მებრძოლები მიუვალ მთათა მწვერვალებს, როგორ გმირულად დგანან ისინი ჩვენი ვრცელი სამშობლოს საზღვარზე ოქტომბრის უძვირფასეს მონაპოვართა დასაცავად.

სამართლიანად დიდ ადგილს უთმობს თავის ლექსებში პოეტი ბუნებას. როცა იგი ბუნებაზე სწერს მკითხველი მკაფიოდ გრძნობს ზღვის ნათელ სიწყნარეს და ძლევამოსილებას, მთების ახოვანებას და მდინარეთა დაუღალავ ხმაურს. მისი პეიზაჟები უმრავლეს შემთხვევაში ახალია და ცოცხალი ძაფებით დაკავშირებული ცხოვრებასთან. აი, გათენების სურათი და პარაშუტის დაშვება ციდან:

„ფარვანის ტბაზე მარტო ვარ,
ბადე გავშალე თენდება;
უსწორმასწოროდ გადასჭრა
შორს ცა და მიწა დაშნამ!..
ცას მოსწყდა თეთრი ღრუბელი,
აბულის მთას არ ედება,
ტბის ტალღებამდე დაეშვა
და ბალახებში დაშრა".

ლამაზად და უშუალოდაა აქ ერთ მხატვრულ კომპლექსში გაერთიანებული ისეთი არა თანაზომადი მოვლენები, როგორიცაა გათენება და პარაშუტის დაშვება.

ამ კარგ მხარეების გარდა, კალაძის ახალი წიგნი თავისუფალი არ არის ნაკლოვანებებისაგან. ალაგ-ალაგ სიმშრალე ჯერ კიდევ ჩანს მის ლექსებში. ვხვდებით ბუნდოვანებასაც, რაც გამოწვეულია იმით, რომ პოეტი ხანდისხან ვერ იმორჩილებს სიტყვას. მაგალითად, ის სწერს:

„ვერ დუმს და ვერც დგას, ვერც
მავნე კაცი
ბოლოს ქუჩაში გავა და ჯავრობს".

ეს ძალიან მდარე ღირსების პოეზიაა. სიტყვები ძალატია შეკოწიწებული, ამიტომ ლექსი საჭირო ეფექტს ვერ ახდენს.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ კალაძემ საკმაოდ იმუშავა ქართული ლექსის რიტმიული განახლებისათვის, გაამდიდრა ქართული ლექსის ხმოვანება.

კარლო კალაძის ლექსების ახალი წიგნი ავტორის დიდ შემოქმედებითს ერუდიციის ამაღლებას.

გ. ნატროშვილი

---

*) კარლო კალაძე — „რჩეული ლექსები", 1939 წელი. სახლიტგამი.

რაჟდენ გვეტაძის მხატვრული პროზა

რაჟდენ გვეტაძე თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი ფიგურაა. მისი შემოქმედება პროზის დარგში ხასიათდება მდიდარი შინაარსით და თემატიური მრავალფეროვანებით, ძარღვიანი და მიმზიდველი სტილით, მოფიქრებული სახეებით და სურათებით. მისი ყოველი სიტყვა და თქმა ნათელია და მიზნობრივი. ზედმეტი დეტალი, ნაწარმოების იდეისათვის დაუმორჩილებელი თვითმიზნური ყალბი პათოსი და განყენებული ფანტაზია მისთვის უცხოა. დაკვირვებული მხატვრის სიდინჯით არკვევს რ. გვეტაძე ტიპიურ ხასიათებს ტიპიურ გარემოში. მისი რომანების და მოთხრობების გმირები — ყაფლანი, ტიგრანა, ხოსრო, ლელენდარა, მოხუცი გენერალი და სხვები — დიდის ოსტატობით გამოკვეთილ მხატვრულ სახეებს წარმოადგენენ. ავტორმა მათი ცხოვრება და საქმიანობა მხატვრული ზომიერების დაცვით დაგვიხატა და სათანადო სოციალური გარემოს ფონზე წარმოგვიდგინა.

„თეოსა" და „ჭიაკოკონაში" ასახულია თვითმპყრობელობის არსებობის უკანასკნელი პერიოდი, მენშევიკების ბატონობა საქართველოში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლები.

ავტორი დამაჯერებლად და ჩათლად გვიხატავს სამი ეპოქის მანძილზე მომქმედ ტიპების ცხოვრებასა და საქმიანობას.

შევეხოთ ჯერ რომან „თეოს". თავადი ყაფლანი თვითმპყრობელობის ბატონობის დროს ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო. მოსახლეობა ყაფლანის წინაშე თრთოდა. ამ პარაზიტს არ გააჩნდა არავითარი ადამიანური გრძნობა. მოურავი ფიდო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ყაფლანის ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვას შესწირა, ყაფლანმა დაუნდობლად გასწირა და არ შეიბრალა.

მენშევიკების ბატონობამ ყაფლანის მდგომარეობა უცვლელად დასტოვა, იგი ძველებურად თარეშობდა სოფლად და მტაცებლურად აწიოკებდა მშრომელ მოსახლეობას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში ყაფლანი დასცა ძირს. ყოველგვარი საფუძველი გამოეცალა მის ბატონობას. ყაფლანი ყასაბ ტიგრანას სამოწყალო გახდა. ტიგრანა აძლევდა ყაფლანს ფულს და თეოსთვის ტანსაცმელს. ბოლოს, ადამიანური ზნეობიდან დაცლილი ყაფლანი საშუალებას აძლევს ტიგრანს დაისაკუთროს თეო და ნამუსი ახადოს.

ყაფლანი კვლავ წარსულის დაბრუნებაზე ოცნებობდა. იგი მტრულად იყო განწყობილი ახალი ქვეყნის წინააღმდეგ.

რომანში კარგად არის მოცემული პატიოსანი და ენერგიული მშრომელების — თანდილას და გიორგის სახეები. ყოველ მათ სიტყვაში მოსჩანს სოციალური უკულმართობისაგან ჩაწიხლული ადამიანების მწარე ხვედრი, ნათელი გული და ანთებული იმედი.

თანდილა შეგნებული მუშაა. იგი რკინიგზელია, ერთ-ერთი ფარული წრის ძველი წევრი. მან ყაფლანის ოჯახში გაზრდილი აჭარელი მირზა თავისუფლებისათვის მებრძოლ არალეგალურ წრეში ჩააბა. თანდილამ მირზას თვალები აუხილა და მის გულში მარად ჩაუქრობელი ცეცხლი დაანთო. მიზნად დაუსახა მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლა.

მირზამ მარქსის სახელი პირველად არალეგალურ კრებაზე გაიგონა. გაეცნო მშრომელთა საბრძოლო ამოცანებსაც და ამ დღიდან მის გულში მუდამ ძლიერდებოდა ზიზღი და სიძულვილი გაბატონებული კლასის მიმართ. მწერალმა მირზა სრულიად ბუნებრივად დაუკავშირა ყაფლანის მიერ გაყვლეფილთა წრეს, გახადა იგი ამ წრის გულის მესაიდუმლედ და მათი ინტერესებისათვის მებრძოლად. აღნიშნული კონტრასტი რომანს თავიდან ბოლომდე მისდევს. კონტრასტს უფრო ამძაფრებენ და აღრმავებენ კლასობრივი ბრძოლის მგზნებარე ეპიზოდები.

მირზას პოლიტიკური თვითშეგნება თანდათან იზრდება. იგი მსოფლიო ომში მიმავალი ჯარისკაცის მისამართით ამბობს: „რატომ უნდა გაწყდეს ამდენი ხალხი? ვისთვის უნდა იომონ? ერთი მუჭა მუქთახორებისათვის, რომ გადარჩენილებს უფრო მეტი სისხლი გამოსწოვონ".

თებერვლის რევოლუციის შემდეგ მირზა მტკიცე ბოლშევიკად დარჩა. იგი უკმაყოფილოა მენშევიკების ბატონობით და ბაქოში მუშაობს ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, მირზა ბოლშევიკური კომიტეტის დავალებით ჩამოდის საქართველოში და ასრულებს სხვადასხვა ორგანიზაციულ დავალებას. მირზა მხნედ და ენერგიულად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

რომან „თეოს" დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს მკვეთრი სოციალური სატირა. ეს სატირა ბასრია და პირდაპირი. იგი მიმართულია ბურჟუაზიული ყოფის წინააღმდეგ, თვითმპყრობელური ბიუროკრატიისა და მენშევიკების წინააღმდეგ.

რ. გვეტაძის ნაწარმოებთა მთავარი გმირები არ არიან იზოლირებულნი სოციალურ გარემოდან. მათ საქმიანობას ყოველთვის განსაზღვრავს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ესა თუ ის პერიოდი. აქ მჟღავნდება მწერლის რეალისტური მსოფლშეგრძნობა.

„თეოს" შემდეგ გვეტაძემ გამოაქვეყნა რომანი „ჭიაკოკონა". ეს ნაწარმოები წარმოადგენს „თეოში" მოცემული მხატვრული ოსტატობის სრულყოფასა და უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. „ჭიაკოკონაში" რ. გვეტაძე გვევლინება თვალსაჩინო რეალისტ მწერლად. იგი ფლობს ბელეტრისტიკის რთულ მხატვრულ ხერხებს.

ჩვენ გვინდა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ „ლაშაურ საღამოებზე", რომელმაც სრულიად მართებულად გამოიწვია აზრთა დიდი სხვადასხვაობა პრესაში.

„ლაშაური საღამოები" მართლაც მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოებია. უპირველეს ყოვლისა საინტერესოა ის რომ მასში მწერალი გვევლინება ყოფისა და ადამიანთა ინტიმური განცდების საუკეთესო მცოდნედ.

„ლაშაურ საღამოებში" მოცემულია უიდეო და უპერსპექტივო პოეტების პორტრეტები. ეს პოეტები ხასიათდებიან გადაჭარბებული ლირიზმით. მათი ლირიულობა სანტიმენტალურია. ისინი ხშირად მსჯელობენ, მაგრამ მათი მსჯელობა ყოველთვის უპრინციპოა და მკრთალი. საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი ძალები მათთვის უცხოა. ხშირად კითხულობენ გაზეთებს, მაგრამ მოვლენათა განვითარების პროცესს პასიურად უყურებენ. ისინი ხალხს ინდიფერენტულად ეკიდებიან და სიმბოლისტური დაბნეულობით ხასიათდებიან. გივი თავის წარსულზე ასე მოუთხრობს სერობის წევრებს:

„1918-19 წლებში ქუთაისში პოეტების მთელი [illegible] დადიოდა, — ცოტა დამცინავ კილოზე დაიწყო გივიმ. — მეც, რა თქმა უნდა, მათ რიცხვში ვერიე. ბევრი ჩვენგანი ჩხირის გადამბრუნებელი არ იყო. იშვიათად ვწერდით ლექსებს. უფრო ხშირად ვქეიფობდით. ახლაც არ ვიცი რა სერმიით ვახერხებდით ამას".

აქ ავტორმა გივის პირით გადმოგვცა ქართველი დეკადენტების დამახასიათებელი უმოქმედობა და უსაქმო ხეტიალი.

„ლაშაური საღამოების" მკითხველი დაინტერესებულია ზეინაბის მომავლით, უნდა გაიგოს, რა მოუვიდა ამ უპატრონო გოგონას, მაგრამ ამაზე ავტორი სავსებით წინდახედულად არაფერს არ ათქმევინებს რაიბულს.

„ლაშაურ საღამოებში" კარგად არის გამოკვეთილი ყოფილი გენერლის მხეცური ბუნება. მას ქვეყანა სძულს, არავის არ ინდობს, მუდამ გალეშილია. მიცვალებულებს იღებს მიწიდან და ტანისამოსს ხდის. მის საქციელში, მის მხეცობაში რ. გვეტაძემ გამოხატა პარაზიტული კლასების მთელი გახრწნილება და გადაგვარება.

რომანი „ლაშაური საღამოები" შეიცავს სერობის მონაწილეთა მიერ ნაამბობ ნოველებსა და ლაშა მთვარეულის ცხოვრების ამბავს. თხრობის რიტმი ნელია, მაგრამ მაინც მიმზიდველი და თავისებური. ენა კარგია და პოეტური ხერხებით მდიდარი.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მშობლიურ თემად იქცა მოძმე ერების ცხოვრების თემებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია კ. ლორთქიფანიძის „ბელორუსული ნოველები" და რ. გვეტაძის „მახრა" და „სკირგაილო".

„სკირგაილო" მაღალმხატვრული კულტურითა და შინაგანი მღელვარებით დაწერილი ნოველაა. ნოველაში მხატვრული ძლიერებით არის მოცემული სიყვარულისათვის დასჯილი ალესის ტრაგედია.

ავტორმა ამ ნოველაში ერთმანეთს დაუპირისპირა უხეში ძალა და სიმართლე. სიმართლე სიმებზე დაირხა და ამიტომ ხალხმა იგი არ დაჰკარგა, წაართვა ცეცხლის ალს და დიდი სიყვარულით შეინახა.

„მახრაში" იანკა, როგორც რაზმელი, პანებს ებრძვის. პანები არ ინდობენ რაზმელებს, განსაკუთრებით იანკას. იანკა დასჯრეს. მისი სატრფო ჰანა გააუპატიურეს, ხოლო დედა აწამეს.

იანკას რაზმმა იარაღი არ დაჰყარა. მოთხრობაში ავტორმა მთელი სიმძაფრით დაგვიხატა ის ეპოქა, როცა ინტერვენტები ესეოდნენ ჩვენს სამშობლოს. ავტორმა გამოხატა ბელორუსიის მშრომელთა გმირული ბრძოლა სამშობლოს დასაცავად.

„მახრა" და „სკირგაილო" საუკეთესო რეალისტური მოთხრობებია, რომელშიაც ქართველი მკითხველი ეცნობა მოძმე ბელორუსი ხალხის წარსულს.

ვლ. გუგუშვილი

მესაზღვრის პირველი დღე

ა. ბელიაშვილი

ვის არ განუცდია რაიმე ახლის ნახვის მოლოდინში წინასწარი აღელვება. ქალაქი იქნება ის, ბუმბერაზი მთა, უცხო ქვეყანა თუ უბრალო ტრამვაი — სულერთია, თუ ასეთ რამეს პირველად ხედავ, გული ყოველთვის მოუთმენლად ტოკავს, რადგან რაღაც უცნაურის, სრულიად განსხვავებულის ნახვას მოელი.

ასეთი გრძნობით იყო შეპყრობილი სერგეი დერიაბინი, როდესაც ის თავის გუნდთან ერთად, სასწავლო პროგრამის დამთავრების შემდეგ, გაგზავნილ იქნა, როგორც მესაზღვრე, სოციალისტურ სამშობლოს მიჯნის მცველად. სულ რამდენიმე წლის წინად ჯერ კიდევ ბავშვს ხშირად უნახავს სოფლის საბჭოს შენობაში დაკიდებული დიდი პლაკატი, რომელზედაც გამოხატული იყო მხარბეჭიანი წითელარმიელი, შაშხანით ხელში სასაზღვრო სვეტთან მტკიცედ ამართული. როგორი აღტაცებით უცქეროდა სერგეი ამ სურათს და რამდენჯერ უნატრია გუნებაში, რომ თვითონაც ყოფილიყო ასეთი მესაზღვრე. შინ დაბრუნებისას ყოველთვის დგებოდა სარკის წინ და ცდილობდა მიეღო პლაკატზე გამოსახული მებრძოლის გამომეტყველება. ხან წარბებს შეჰყრიდა, ხან მკერდს წამოსწევდა წინ და ფიცრიდან გამოთლილ თოფს ხელში სწორედ ისე დაიჭერდა, როგორც პლაკატზე გამოხატულ წითელარმიელს ეჭირა. პატარა დუსიამ, ცისფერთვალება ეშმაკმა დუსიამ, ჯერ კიდევ ფეხშიშველა რომ დატყაპუნებდა სოფლის შარაზე, როგორღაც გაიგო სერგეის გულის ზრახვები და ქვეყნის გასაგონად დაუწყო ზელება:

— არ იქნები მესაზღვრე, არ იქნები მესაზღვრე!

სერგეი დუსიას მეგობრობდა და რამდენჯერ დაუჭერია მისთვის ანკესით ჰჭყინები. ერთხელ ხაფანგით ჩიტიც კი დაუჭირა, მაგრამ ახლა ეს შეურაცხყოფა ვერ აიტანა. დაიჭირა დუსია და ოქროსფერი თმები სულ დააბდღვნა. მაშინ ისინი ერთმანეთს გაებუტნენ და კარგა ხანი გავიდა, სანამ შერიგდებოდნენ. ეს ამბავი ჯარში სერგეის გაწვევის დროს მოხდა. სერგეი უკვე დავაჟკაცებული ახალგაზრდა იყო, ხოლო დუსიას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა. სერგეის გასაცილებლად მოვიდა. ხელი ჩამოართვა, თავისი ცისფერი თვალებით განზე გაიხედა და მორცხვად ჩაილაპარაკა:

— მაშ მესაზღვრე იქნები, არა?

ორივეს გაეცინა. დუსია ღელავდა და მაღალი მკერდი მძიმედ აუდიოდა. სერგეიც ღელავდა და ჩუმად იდგა. მათი თვალები ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ისევ გარბოდნენ განზე. უცბად სერგეიმ სრულიად უბრალოდ ჰკითხა:

— დამელოდები?

დუსიამ ჯერ თითქო გაკვირვებით შეანათა ცისფერი თვალები, ვითომ ეს რა მკითხაო, მერე ძირს დაიხედა და ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ეგ რა საკითხავია: რასაკვირველია, დაგელოდები.

მთელი ქვეყანა სერგეის ულიმოდა მაშინ. ეს მინდვრები, თეთრსალტიანი არყები, რკინიგზის სადგური, ორთქლმავალი, ხალხი, ყველაფერი, ყველაფერი...

... და აი ახლა მათი ავტომანქანა გრიალით მიჰქროდა საზღვრისაკენ, შეუნელებლად არბოდა აღმართებზე, მისრიალებდა გაჭიმულ შოსეზე და სერგეის უფროდაუფრო მაგრა უცემდა გული.

საზღვარი! საზღვარი! როგორია ნეტავი ის მიჯნა, სადაც თავდება საბჭოთა ქვეყანა და იწყება უცხო მიწა. რაღაც სულ სხვაგვარად, არაჩვეულებრივ რამედ ჰქონდა წარმოდგენილი ყველაფერი ეს სერგეის და მოუთმენლად გასცქეროდა მისკენ სწრაფად მომავალ სივრცეს.

მალე მანქანა დიდ, თვალუწვდენელ ზეგანზე გავიდა. შორს, სულ შორს გამოჩნდა დაკლაკნილი მდინარის ვერცხლისფერი ზოლი და ვიღამაც დაიძახა:

— საზღვარი.

ყველამ ფეხზე წამოიწია. სერგეი გაფაციცებით აკვირდებოდა ზეგანის დასასრულს. მდინარის გაღმა გადაგრაგნილი მთები მოსჩანდა.

— მდინარეა საზღვარი, — განმარტა ლეიტენანტმა კრავჩენკომ — მდინარის იქით უცხო ქვეყანაა.

მანქანამ სვლას უმატა. მდინარემ სწრაფად დაიწყო მოახლოვება. ახლა თეთრი, ლამაზი შენობაც გამოჩნდა მდინარის პირად.

ბიჭებმა სიმღერა დასჭექეს. ყველას რაღაც სასიამოვნო აღელვება ეტყობოდა.

მანქანამ ქვემოთ ჩაუხვია, ხეობაში ჩაიმალა და როდესაც აღმართი ისევ აიარა, უკვე სადარაჯო შენობასთან მისულიყვნენ.

მოსულებს დამხვდურები შეეგებნენ. ბიჭები სულ პარტყა-პურტყით გადმოცვივდნენ მანქანიდან. „ძველები" მკვეთრად განირჩეოდნენ „ახლებისაგან". ყველას მზე ისე ჰქონდა მოკიდებული, რომ კანი სულ ყავისფრად ულაპლაპებდა.

„ძველებმა" მაშინვე დაიწყეს თავიანთი სოფლელების ძებნა ახლად მოსულებში. შეიქნა ამბების გამოკითხვა, თუთუნის მიწოდება და სასადილოში მიპატიჟება, სადაც ახლად მოსულებისთვის საგანგებო სადილი დაემზადებინათ.

— ივანოვის რაიონიდან ხომ არავინაა? — დაიძახა ვიღაცამ გუნდში და სერგეიმ ადგილიდან გასცა პასუხი:

— არის.

სერგეის წინ ტანში ჩასკვნილი და მზისაგან დამწვარი მესაზღვრე აიმართა.

— თქვენა ხართ ივანოვის რაიონიდან? — ჰკითხა სერგეის.

— მე ვარ! — უპასუხა მან.

— რომელ კოლმეურნეობიდან?

— წითელი ოქტომბრიდან.

— ოჰო! მე სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან ვარ. მეზობლები ვყოფილვართ. მაშასადამე, ახლა შენც მესაზღვრე ხარ.

— ასე გამოდის, — გაიღიმა სერგეიმ.

— იქით რა ამბებია?

— არაფერი. თუმცა თქვენმა კოლმეურნეობამ ორდენი მიიღო.

— ეგ ვიცი უკვე.

— ორდენი მიიღო კიდევ კომბაინერმა ქალმა გლაშა დენისენკომ.

— ეგეც ვიცი, — გაიცინა მესაზღვრემ. — გლაშა ჩემი ცოლია.

— არა!?

— მაშ, როგორ გეგონა? ეგ ყველაფერი ვიცი.

— აქ რაღა ამბებია? ძნელია მუშაობა? შევიძლებ თუ არა?

— ძნელი არაფერია. ისე გასუქდები, დედაშენი ველარ გიცნობს. საზღვარი ნახე?

— არა.

— წამო, გიჩვენო.

ოციოდე ნაბიჯი გაიარეს და მდინარის ნაპირს მიადგნენ. ძველმა მეზღვაურმა კოსტიამ, ზედ წყლის პირზე დადგა ფეხი და სერგეის უთხრა.

— აი აქ თავდება საბჭოთა მიწა.

სერგეი დაფიქრებული გასცქეროდა მდინარეს და მეორე ნაპირს რაღაც არაჩვეულებრივის ნახვას მოელოდა სერგეი და ყველაფერი ჩვეულებრივი დახვდა. მდინარე მიდიოდა მდორედ. არც თუ ისე დიდი იყო. ნაპირზე ჩალა ამწვანებულიყო, აქა-იქ ნაკვერცხლებივით ღვიოდნენ ყაყაჩოები. ლოდზე გარინდულიყო ქვისფერი ხვლიკი.

მდინარის მეორე ნაპირიც ჩალიანი იყო. მის იქით პატარა შიშველი გორაკები მოსჩანდნენ, უფრო შორს საყანე ადგილები გადაჭიმულიყვნენ, ხოლო ცისკიდურზე ყვითელ და ყავისფერ ზოლებად გადარუჯული მთები დაგრაგნილიყვნენ.

ჰაერი სრულიად არ იძროდა და გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ მდინარის ბუტბუტი არღვევდა.

— ესაა ყველაფერი? — იკითხა სერგეიმ.

— როგორ? გაკვირვებით შეხედა კოსტიამ თვალებში თანამემამულეს.

— მე რაღაც არაჩვეულებრივს და უცნაურს მოველოდი. ბავშობიდან სულ ვოცნებობდი, მესაზღვრე ვყოფილიყავ და საზღვარიც რაღაც განსაკუთრებულ რამედ მქონდა წარმოდგენილი. ხან მეგონა, თითქოს საზღვარზე დიდი კედელი იყო აგებული.

— კედელი ჩვენა ვართ.

— ეგ მესმის. მე ბავშობის ამბებს გეუბნები. შემდეგში, რასაკვირველია, უფრო ნათელი წარმოდგენა მქონდა საზღვარზე. მაგრამ მაინც. აი ახლა ვდგევარ ჩვენი ქვეყნის კიდეზე, მინდა განვიცადო ეს განსხვავება, რაღაც თავისებურად შევიგრძნო და... ვერაფერს კი ვერა ვგრძნობ. აქაც მიწაა და იქაც, აქაც მთებია და იქაც.

კოსტიამ რაღაც ეშმაკურად ჩაიცინა. სერგეის მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— მალე ნახავ და იგრძნობ ყველაფერს, ნუ გეშინია!

როდესაც ყაზარმაში დაბრუნდნენ სერგეის კედელზე გაკრული განაწესის ცხრილი დაუხვდა. სულ თავში მისი გვარი იყო მოხსენებული. ნაშუადღევის ექვს საათზე ის უკვე უნდა გასულიყო საგუშაგოდ.

სერგეიმ ისადილა და იმ წამსვე მოეწყო დასაძინებლად, რათა საგუშაგოზე დასვენებული გასულიყო.

კუთხეში ოთხნი დომინოს თამაშობდნენ ზღვაოსნური წესით და, აზარტში შესულნი, ქვებს ისე აჯახუნებდნენ, რომ მაგიდას სულ ლაწალუწი გაჰქონდა. სერგეის უცბად გული მოუვიდა და მოთამაშეებს მკვახედ გასძახა:

— ცოტა უფრო მაგრა აჯახუნეთ ქვები. რა ამბავი გაქვთ? შესწყვიტეთ ახლავე თამაში.

თავი წამოსწია და მოთამაშეებს შორის თავისი მეთაური, ლეიტენანტი კრავჩენკო შეამჩნია, რომელმაც მაშინვე დაჰყარა ქვები მაგიდაზე, ადგა, დანარჩენებიც ზეზე წამოყარა და ოთხივენი ფეხაკრეფით გაიპარნენ.

სერგეიმ ცოტა უხერხულობა იგრძნო თავისი მეთაურის წინაშე, მაგრამ თავი იმით ინუგეშა, რომ საგუშაგოზე უნდა გასულიყო და ქვების ჭახა-ჭუხში რა დააძინებდა.

„ვერ გამომივიდა კარგად, — ფიქრობდა სერგეი, — მეთაური ყოველთვის თავაზიანად გვეპყრობა. მე კი ვუყვირე. ალბათ, ჩემზე გაბრაზებული იქნება".

ექვს საათზე სერგეი საყარაულო ფორმაში გამოწყობილი და შაშხანით ხელში მეთაურ კრავჩენკოსთან გამოცხადდა. ფეხი-ფეხთან კოხტად მიადგა და მოახსენა:

— ამხანაგო მეთაურო, გამოვცხადდი განაწესის მიხედვით.

თან თვალებში უცქეროდა. სურდა გაეგო, გულმოსული იყო თუ არა მასზე მეთაური.

კრავჩენკო ფეხზე ადგა:

— ამხანაგო დერიაბინ, გილოცავთ საბჭოთა სოციალისტურ სამშობლოს საზღვრის სადარაჯოზე პირველად გასვლას. იყავით ფხიზლად, დარწმუნებული ვარ, რომ პირველობას არავის დაუთმობთ.

— ამხანაგო მეთაურო, — სერგეი ოდნავ დაიბნა, — მე წეღან ცოტა უხეშობა გამომივიდა, როდესაც თქვენ ამხანაგ წითელარმიელებთან ერთად დომინოს თამაშობდით...

— არაფერი, — გაიღიმა კრავჩენკომ, — პირიქით, ჩვენ გამოგვივიდა უხეშობა... თქვენ სრულიად მართალი იყავით.

— ნება მომეცით წავიდე.

— წადით, ამხანაგო დერიაბინ.

სერგეიმ შაშხანა ოდნავ აიტაცა. მოხდენილად მიბრუნდა და ქუსლებმა სხაპა-სხუპით ჩასთვალეს „ერთი, ორი!"

„შესანიშნავი მებრძოლია ჩვენი დერიაბინი" — გაიფიქრა მეთაურმა.

„შესანიშნავი მეთაურია ჩვენი კრავჩენკო", — გაიფიქრა სერგეიმ როდესაც გამართული ნაბიჯით გარეთ გადიოდა.

მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო. აქა-იქ ცაში დინჯად დაცურავდნენ გაურკვეველი ჯიშის მტაცებელი ფრინველები. მთების ნაპრალებში ჩრდილები ჩაწოლილიყვნენ და მახლობელ გორაკთა მშვილდებზე ჰაერი ლივლივით არბოდა მაღლა.

სერგეის თავის საფრამდე კარგა მანძილი ჰქონდა გასავლელი. ბილიკი არა სჩანდა, მაგრამ სერგეიმ კარგა იცოდა, სად უნდა მისულიყო. საკმაო იყო რუკაზე დაეხედა და ერთი ნაბიჯითაც არ შესცდებოდა. ამიტომ მტკიცედ მიდიოდა დანიშნულ ადგილისაკენ.

გორაკს იქით მდინარე მარჯვნივ უხვევდა და დიდი ნამგალივით რკალს აკეთებდა. სწორედ მოსახვევთან, მდინარის გაღმა, გამოჩნდა უცხო ქვეყნის სადარაჯო ქოხი, პატარა ერთსართულიანი შენობა.

საფარიდან შესანიშნავად მოსჩანდა მთელი მიდამო. როდესაც სერგეი სადარაჯოზე დადგა, იმ წუთში ის უკვე არაფერს აღარ განიცდიდა. სადღაც გაჰქრა ის უჩვეულო წინასწარი აღელვება და გულისცემა. გარშემო გამეფებულმა სიჩუმემ და ამ მოტიტვლებულმა გორაკებმა, რომლებზედაც არც ერთი ცოცხალი არსება არა ჩანდა, სრულიად დაუკარგეს სერგეის თვალში აზრი ამ საპატიო თანამდებობას. საზღვარს მაინც ჰქონოდა ისეთი სახე, როგორიც პლაკატებზეა დახატული და როგორსაც თეატრებში უჩვენებენ.

უგუნებოდ დაუწყო თვალთვალი საზღვარს სერგეიმ. არავინ არა სჩანდა გარშემო. არც უცხოთა საყარაულო ქოხთან ჩანდა ვინმე. მიტოვებულს ჰგავდა ის პატარა შენობა.

მოულოდნელად შორს, სულ შორს, რაღაც მოძრავი წერტილი შენიშნა სერგეიმ. დააკვირდა. წერტილი თანდათან დიდდებოდა და ბოლოს აშკარად გამოჩნდა მხედარი, რომელიც გამალებული მოაჭენებდა თავის ბედაურს და გზაზე მტვერის კორიანტელს აყენებდა. მალე მხედარი დაუახლოვდა თავის საყარაულო შენობას, საიდანაც ჯარისკაცები გამოცვივდნენ და მწკრივად დაეწყვნენ. ერთი მათგანი (ალბათ, ოფიცერი) წინ წამოდგა და მხედარს შეეგება. ორივემ ერთმანეთს სამხედრო სალამი მისცეს. მხედარი ჩამოქვეითდა და ყველანი შენობაში შევიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ორმა ჯარისკაცმა გარეთ გამოიყვანა ხელებშეკრული ჯარისკაცი. დანარჩენებიც გამოვიდნენ და რატომღაც აფუსფუსდნენ. მოიტანეს გრძელი მერხი, დადგეს ოფიცრის წინ და ზედ ხელებშეკრული ჯარისკაცი გააწვინეს. ხელები და ფეხები მერხის ქვემოთ შეუკრეს. შემდეგ შარვალ გააძვრეს და ხალათი თავზე წამოაფარეს. ერთმა ჯარისკაცმა ოფიცერს სახრე მიართვა. ოფიცერმა გამოართვა და ხელში მოშინჯა. მოქნილი სახრე ღვედივით იკლაკნებოდა.

სერგეიმ აღელვებისაგან გულის რევა იგრძნო. არასოდეს არ ენახა ადამიანის ცემა. მართალია, ბავშვობის დროს დედას ხშირად მიუტყეპია სერგეი ცელქობისათვის, ხოლო ერთხელ მურაბის შეჭმისათვის საჯაროდ, დუსიას თვალწინაც-კი სცემა, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავი იყო, ბავშვობის ამბავი.

აქ კი...

[illegible] აიქნია მკლავი ოფიცერმა და მთელი ძალ-ღონით გადააწნა სახრე შიშველ ზურგზე გათოკილ ჯარისკაცს.

მერე მიბრუნდა და რაღაც ბრძანა.

ჯარისკაცები მაშინვე ჩამწკრივდენ მერხის გასწვრივ.

სერგეიმ ახლა გაიგონა „ტკაც" და გაგრძელებული გულშემზარავი „უუ... ვაი"..:

სერგეის მოაგონდა: როდესაც ხუტორზე ძია ვლასი შეშას ჩეხავდა, ასე გვიან მოდიოდა ხოლმე ხმა მათ თავლამდე. აიქნევდა ძია ვლასი ცულს, გახეთქავდა ნაპობს და როდესაც სერგეი ხუთს დაითვლიდა, მოესმოდა სერგეის ცულის ხმა და ძია ვლასის ზედ დაყოლებული ხვნეშა.

ჯარისკაცებმა სახრეები ჩამოირიგეს და რიგრიგობით დაუწყეს ცემა წამოქცეულს. მიუახლოვდებოდა ერთი, მთელი ძალღონით გადააწნავდა სახრეს და გადგებოდა განზე, მერე მეორე მივიდოდა, მესამე და როდესაც ყველანი დაამთავრებდნენ ცემას, ისევ პირველი დაიწყებდა. სერგეიმ დაითვალა. ათჯერ გაიმეორეს ეს ამბავი. მერვე დარტყმის შემდეგ დასჯილი აღარ ყვიროდა.

როდესაც ცემა დაამთავრეს, დასჯილი მერხიდან ახსნეს, განზე გაათრიეს და თხრილში ჩააგდეს.

დასჯილი არც კი განძრეულა, ეტყობოდა, გრძნობა დაკარგული ჰქონდა. ეგდო შიშველი, მისი მკლავი-კი მოწყვეტილივით გადაკიდულიყო ბელტზე.

უცხო მხედარი ისევ შეჯდა ცხენზე. ოფიცერმა ჩაამწკრივა ჯარისკაცები, სამხედრო წესით სალამი მისცა, და მხედარი იმავე გზით გაბრუნდა უკან.

დარჩენილებმა ცოტახანს მხედარს თვალი გააყოლეს, შემდეგ ყველანი შენობაში შევიდნენ.

ნაცემი ჯარისკაცი ისევ ისე ეგდო თხრილში.

სერგეი ფეხზე წამოდგა და მდინარეს თვალი ჩააყოლა.

ახლა მან მთელი სიცხადით დაინახა თავისი და უცხო ქვეყნის საზღვარი.

უჩვეულო სიამაყის გრძნობამ შეიპყრო მაშინ სერგეი. მის ზურგს უკან გადაჭიმულიყო უზარმაზარი ქვეყანა, რომელიც სიცოცხლით და თავისუფლებით სუნთქავდა. ქვეყანა, რომელსაც ხალხი მართავდა, სტალინის მიერ გაზრდილი ხალხი. ისე მაგრა მოჰკიდა ხელი შაშხანას სერგეიმ, რომ თითებში ტკივილი იგრძნო. მკერდ გადაშლილი და მთელი ტანით ამართული იდგა იგი სამშობლოს საზღვარზე და გასცქეროდა უცხო ქვეყანას, სადაც მან ასეთი უჩვეულო სურათი ნახა.

ასე დაიწყო მესაზღვრე სერგეის პირველი დღე.

პალმის ალიონი

გრიგოლ აბაშიძე

მთვა რიჟრაჟი, ხის ტოტებზე დაჰკიდებს ალმასს,
ზეთისხილის ტყეს გაათეთრებს, ნისლში გაურევს,
ფორთოხლის რტოებს გამოუჩენს, ოქროს საყურეს
და სიმაღლისთვის ნათელ გვირგვინს დაადგამს პალმას.

მაღლდება პალმა, მლოცველივით ხელებ-აწვდილი!
მუშაითივით კბილით იჭერს შიშველ სატევრებს,
ტრიალებს მიწა, ბრუნავს პალმა და თვალს ადევნებს,
როგორ ერთგულად გასწოლია ფეხქვეშ აჩრდილი.

ჭალწულის წელზე ცისარტყელად არ აქვს ქამარი,
იქნებ ამას სწუხს, დილის ცვარით როცა ციმციმებს
გრძელი ფოთოლი, ვით მედეას ნაწამწამარი.

მიწაზე ლანდებს თითებივით გაჭყოფს ნათელი,
პალმა ზეცისკენ მიმავალი იგრძნობს სიმძიმეს
და შეჩერდება, როგორც ზღვაში არგონავტელი.

დავითის გამგზავრება გურჯისტანში

(„დავით სასუნცი“-დან)

ერთხელ დავითმა უთხრა ხანდუტსა:
„მე გურჯისტანში უნდა წავიდე.
როდესაც მე შენ ცოლად შეგირთე,
ორმოცი გმირის ცოდვა დავიდე.
სინდისი მტანჯავს, — მათ შენი თავი
რომ დაეკარგათ, ჩემი ბრალია.
გამიგონია, რომ გურჯისტანში
მრავალი ნორჩი ტურფა ქალია.
უნდა შევკრიბო მე ის გმირები
და ორმოცსავე ჩემგან ძღვენსა,
ორმოცი ქალი უნდა უშოვო —
თითო ასული თითოეულსა.
შემდეგ ამისა შინ დავბრუნდები“.
ხანდუტმა უთხრა: „მე გეტყვი ამას —
შენ ჩემს წინაშე ცოდვა მოგიძღვის,
ჩამომაშორე დედას და მამას,
აქ მომიყვანე უცხო ქალაქში,
და გინდა ახლა დამტოვო ცალად?
წახვალ და ვაჟი შეგეძინება,
ვით უპატრონო, სად შემწევს ძალა?..“
დავითი ეტყვის: „თუ ვაჟი იქნეს,
მღერი დაარქვი იყოს კეთილი
ხსოვნა ამ ქვეყნად მამიჩემისა“.
მერე სამაჯე ოქრომჭედილი,
მოჰრელებული ძვირფასის თვლებით,
ამოიღო და გადასცა ქალსა,
თან უთხრა: „ვაჟი თუ შეგეძინოს,
შეაბი ესე მარჯვენა მკლავსა,
თუ ქალი იქნეს, მიეც მზითევად
არ დაიდებენ შვილები ვალსა.
დამგვიანდეს — მღერმა მომძებნოს,
ვიცნობ, სამაჯეს თუ მოვკრავ თვალსა.

ადგა შეკაზმა კურკიკ-ჯალალი,
შეჯდა, გაჰქუსლა, გაიჭრა ქარად,
და სათითაოდ ორმოცი გმირი
ორმოც მხარეში მონახა ჩქარა.
წაუძღვა იმათ გურჯისტანისკენ,
მიადგნენ ოთხსა ჯვარედინ გზასა,
იქ იჯდა ერთი თმათეთრი კაცი,
ყველანი იმას უკრავენ თავსა.
მიიღო მათი სალამი, ჰკითხა:
„შვილო, საითკენ გაგიწევიათ?“
მიუგო: „მივალთ გურჯისტანისკენ“.
— „რატომ, რა საქმე გამოგჩენიათ?“
„გვინდა ვიშოვოთ ლამაზი ქალი“.
ასწავლის იმათ მოხუცი გზასა.
გასწიეს, ბევრი იარეს, ბოლოს
მიადგნენ გურჯი — ქალაქის კარსა.
ნახეს იქ ნორჩი ორმოცი ქალი
ხას-ბაღჩისაკენ გამგზავრებული.
ვაჟურად ეცვა ერთს იმათგანსა,
მას მიჰყვებოდა მთელი კრებული.
სალამი მისცეს, გასცეთ პასუხი,
დავითისაკენ მობრუნდა ნელა,
ჰკითხა: „ესენი ვინ მოგყვებიან?“
— „ჩემი ძმებია ორმოცი ყველა“.
მერე მიბრუნდა დავითი, ჰკითხა:
„შენ ეს ქალები ვინ მოგყვებიან?“
ქალმა მიუგო: „ყველა ესენი,
ორმოცი ქალი, ჩემი დებია“.
— „მოდი და ყველა ეს შენი დები
ცოლებად შევრთოთ ჩემს ორმოც
ძმასა“.
„კარგიო“, უთხრა და ხას-ბაღჩიდან
გამოუყვანა ქალები ყმასა.
ჩამწკრივდა ყველა დავითის წინა,
მათ გადაავლო დავითმა თვალი
და უთხრა თავის ორმოც ძმობილსა:
„აჰა, შეირთეთ ორმოცი ქალი
და წადით უკან ამავე გზითა,
გამოგიდგებით მეც გამალებით“.
გაბრუნდა უკან ორმოცი გმირი
და წაიყვანეს თან ის ქალები.

მერე იქიდან აზერბაიჯანს
მიდის დავითი, მოავლო თვალი
და ნახა ერთი ლამაზი; ქვეყნად
არ იყო მისი ბადალი ქალი.
იფიქრა: „მივგვრი ხანდუტ-ხანუმსა,
გამოადგება იგი მსახურად“.
შეისვა ცხენზე, გამოტრიალდა,
ჰკრა ქუსლი ცხენსა და შეახურა.
წამოეწია ორმოც ძმობილსა,
წავიდნენ ერთად ცხენების ფრენით.
ბოლოს დავითმა შესძახათ: „ძმებო,
აქ კი გათავდა სავალი ჩვენი“.
თვითეულს თითო ქალი აჩუქა
და უთხრა მერე: „გზა მშვიდობისა,
შინ წადით ყველა; ჩემთვისაც უკვე
დროა სასუნში დაბრუნებისა“.
ხელი მოჰკიდეს ნაჩუქარ ქალებს
და დიდ მადლობას უცხადებს ყველა:
„იცოცხლე, დავით, მადლობელი ვართ—
არ დაიზარე შენ ჩვენი შველა“.
ეტყვიან ასე და შორდებიან
დავითიც ასდებს ბედაურს ლაგამს
და გზას განაგრძობს თავის ქალითურთ.
ჩვენ კი მოგითხრობთ ხანდუტის ამბავს.

როცა გურჯისტანს წავიდა დავით,
ვაჩომ ხანდუტი საკუთარ სახლში
გადაიყვანა სასუნიდანა.
იყო ორსულად ხანდუტი მაშინ.
მიდის კაპუტკოხს მამასთან ხანდუტ.
ვაჟი ეყოლა იქ მშვენიერი.
სთქვა ვაჩომ: „თუ ეს დავითისაა,
უნდა ახლავე სჩანდეს ძლიერი“.
რომ ჩააწვინეს აკვანში ბავში,
ჯაჭვი გუთნისა მოიღეს მსხვილი
და მოუჭირეს არტახს ნაცვლად.
გაჭირვეულდა, ატირდა ჩვილი
დაიწყო ქინთვა და სულ დაწყვიტა
ჯაჭვი გარშემო შემოხვეული.
ჰო, დავითის და ხანდუტის ვაჟი
არ იქნებოდა სუსტი, სნეული!
ნახეს, რომ ჰქონდა გმირული მოდგმა.
მაგრამ როდესაც გაჰბანეს ტანი,
ხელი უნახეს მას დამუშტული
და არვის ეყო ღონე და ჯანი,
რომ ბავშვისათვის ხელი გაეხსნათ
ფეხზე წამოდგა ქალაქი მთელი
რა არ იღონეს, რა არა სცადეს,
მაგრამ ვერ გახსნეს ყმაწვილის ხელი.
წამოდგა ვაჩო შეშინებული,
ტოროსს უგზავნის იგი წერილსა:
„ტოროსს, აგევსოს თვალები ნათლით!
დავითს, ღვთის მადლით, ვაჟი ეყოლა.
მაგრამ ცალ ხელზე ზადი აქვს რაღაც“.
რომ წაიკითხა ტოროსმა, ჩქარა
მოახტა რაშსა ექვსფეხიანსა,
და კაპუტ-კოხში ხელმწიფის კარად
მივიდა იგი და უთხრა ვაჩოს:
„მაჩვენეთ ჩვრებში გამოხვეული,
როგორი არის ყმაწვილი, ენახო“.
ტოროსმა ბავშვი ზეაწეული
ფრთხილად გასინჯა, ათვალიერა
და შეკუმშული ხელი უსრისა.
გახსნა თითები და შიგ აღმოჩნდა
შედედებული წვეთი სისხლისა.
„ჰაი, ჰაიო! — ამბობს ტოროსი, —
ეგებ ქვამ შესძლოს მისი ატანა,
დედამიწა კი მას ვერ მიიღებს.
გადუძლევს მთელი ქვეყანა
ერთ დაკვირვებულ სისხლის წვეთადა
და თავის მუჭში ჩაუდევს ისა.
თუ კი იცოცხლებს, იგი იქნება
მომქმედი ბევრი სასწაულისა“.
გავიდა შემდეგ ორი-სამი დღე
ხანდუტ-ხანუმმა მონათლა შვილი
და მას უწოდა სახელად მღერი.
თუ იზრდებოდა სხვაგან ყმაწვილი
წლიდან წლობითა, ხანდუტის ვაჟი
ტანსა იყრიდა ყოველ დღეობით.
ის იზრდებოდა საათობითა,
თუ იზრდებოდნენ სხვები თვეობით.
დრო რომ გავიდა რაოდენიმე
ზეზე წამოდგა ტოროსი კერი,
სასუნისაკენ დაადგა გზასა,
თან წაიყვანა ხანდუტ და მღერი.
გასიერინა მღერმა სასუნში
რომ შეუსრულდა მას ერთი წელი.
ქალაქ სასუნსა ერთი მხრიდანა
ჩაუდიოდა მდინარე ვრცელი.
როდესაც მღერი ექვსი წლის გახდა
ამ მდინარეზე გასდო მან ხიდი.
ვისაც ნახავდა გაელილს ხიდზედ,
პატარა იყო იგი თუ დიდი,
მოუხტებოდა მღერი და სცემდა,
შეუყვირებდა: „მამაძაღლებო,
რატომ დადიხართ თქვენ ამ ხიდითა?
განა მე იგი თქვენთვის ავაგე?
და ხალხიც მყისვე შიშით, რიდითა
პირს იბრუნებდა, ძირს ჩადიოდა
რომ გადელახა ფეხდაფეხ ფონი.
მღერი მათ უკან მისდევდათ ლანძღვით
და სცემდათ მთელი თავისი ღონით:
„მამაძაღლებო! როგორ ეს ხიდი
არ მოგეწონათ, არ მოგდით თვალში?
განა მე იგი თქვენთვის არ შევკარ?
მაშ რა მიზეზით შედიხართ წყალში?
წყალი წაგიღებთ, მე დამბრალდება“.
შესჩივლეს ტოროსს ეს ყველაფერი.
კერი ტოროსმა თვისთან მოიხმო
და დაარიგა ავგული მღერი.

თარგმანი **კონსტანტინე ჭიჭინაძისა**

დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

ი. ლისაშვილი

ნოემ მშვენიერი ოჯახი შექმნა. უნივერსიტეტი დაამთავრა თუ არა, ცოლი შეირთო — თავისი სკოლის მეგობარი დოდო, და ორი წლის განმავლობაში ორი შვილი ეყოლათ: ვაჟი და ქალი. ამიერიდან დოდო პატარა შვილების მოვლა-პატრონობას უნდებოდა. მთელი ყურადღება მან შვილებზე გადაიტანა. ნოეს ახარებდნენ შვილები, მაგრამ მეორეს მხრივ, თითქოს რაღაც დანაკლისს გრძნობდა: დოდომ უკლო მისდამი ალერსს და ეს აწუხებდა.

კიდევ გავიდა ერთი წელი.

ნოემ ვერ მოახერხა ოჯახური ცხოვრების შეცვლილ პირობებთან შეგუება. ის უკვე გარე-გარე იხედებოდა. ბევრი ულამაზო, ულაზათო ქალიც კი ულამაზეს ასულად ეჩვენებოდა.

ნოემ ბოლოს ისე გაახშირა უხასიათო ქალებში დროსტარება, რომ თავიც კი შეეზარა, მობეზრდა ყველაფერი. იფიქრა: რა ფასი აქვს ისეთ „დროსტარებას“, რასაც გული და სული არ ახლავს. გამოვნახავ ისეთ ვინმეს, რომელიც ღირსეული იქნება, მეყვარება, რომელიც გულსა და სულს რამეს მისცემს. მართალია, ცოლშვილი მყავს, მაგრამ მით რა დაშავდება, სხვაც რომ მიყვარდეს?

კარგა ხანს თავისთვის იმეორებდა, ნოე ამ აზრს, მით უფრო მაშინ, როცა მშვენიერ ასულთა ღიმილი ტალღასავით გულზე ხვდებოდა.

მალე ნოემ ერთ საკმაოდ ლამაზ, საინტერესო ქალს შეაგნებინა ასეთი სიყვარულის შესაძლებლობა, დაუმტკიცა, რომ ასეთი სიყვარული გაფორმებულ ცოლქმრობაზე უკეთესია, ძალასა და სინაზეს უფრო ხანგრძლივად ინარჩუნებსო. და ისინი შეეთვისნენ ერთმანეთს...

კარგა ხნის შემდეგ ნოეს წარმოუდგა, რომ მისი ახალი სატრფო, მშვენიერი ასული კატო მისი ცხოვრების ცაზე ნამდვილი ბედნიერი ღიმილის გამოჩენაა, რომლის გარეშეც მის ცხოვრებას სხივი არ ექნებოდა. ამიტომ ცდილობდა ნოე, ეს სხივი აღარ ჩამქრალიყო მის გულში.

თითქოს კატოსაც ძალიან უყვარდა ნოე: გამომშვიდობებისას შორიდან ჰაეროვან ამბორს უგზავნიდა, იცინოდა, ეშმაკურად თითს უქნევდა.

ასე გავიდა ერთ წელზე მეტი.

ნოეს მართლაც სერიოზულად შეუყვარდა კატო და უმისოდ ყოფნა აღარ შეეძლო. ფიქრიც კი კატოსაგან შესაძლებელი დაშორების შესახებ აკრთობდა მას, გულს უსერავდა.

მაგრამ ნოეს აღარ სჯეროდა, თუ თვით კატო შესძლებდა სხვის შეყვარებას.

რატომღაც ბოლო დროს კატომ გაახშირა ნოესთან ცოლქმრობაზე საუბარი. უნდოდა გაეგო: შეუძლია თუ არა ნოეს დასთმოს ცოლშვილი კატოს გულისათვის.

ნოე ცდილობდა, პირდაპირი პასუხი არ გაეცა კატოს ამ კითხვაზე, მაგრამ მოულოდნელად კატომ გადაჭრით დაუსვა საკითხი: ან მე ან შენი ცოლი, ახლა გავიგებ მართლა გიყვარვარ თუ არაო.

ნოეს ელდა ეცა.

— ხუმრობ კატო! — მიაძახა ათრთოლებული ხმით და თითებში გამოჩრილი პაპიროსი დაუვარდა.

— არა, კმარა ხუმრობა, — გადაწყვეტით გეუბნები, ეხლა შენ იცი... მე ხომ არ გამალებ? როგორც გენებოს!

ნოემ იგრძნო, რომ კატო არა ხუმრობდა. ამას ადასტურებდა კატოს მკაცრი გამომეტყველება, მისი ხმის კილოც.

ჯერ არასოდეს არ ენახა ნოეს კატოს ასეთი მკაცრი თვალები, არ ეგრძნო მისი ხმის ამგვარი სუსხი და მუხლები აუკანკალდა.

მთელი ის საღამო გრძელდებოდა შეხლა-შემოხლა, რომელიც ასე უეცრად დაიწყო. არ იქნა! ვერც ვედრებით, ვერც შეპირებით და ვერც მუქარით ვერაფერი გააწყო ნოემ კატოსთან.

კატო ქარიშხალივით აბლიდა გამგმირავ სიტყვებს და ნოე დაჭრილი მხეცივით ღრიალებდა, ან კვნესოდა მომაკვდავივით და ფითრდებოდა.

ბოლოს, კატოს მობეზრდა დაუსრულებელი ხვეწნა-მუდარა. თავის დამცირებამდე მისულ ნოესადმი ზიზღიც კი იგრძნო, მოხვია ხელი „შეყვარებულს“ და კარებთან ძალით მიიყვანა:

— წადი! არაფერი არ მინდა შენი! მეყოფა, რაც ჭკუა დავკარგე, მშვიდობით!

კარებში გასულ ნოეს თავბრუ დაეხვა და თვალებში სინათლე გამოელია. რაღაც შესძახა კატოს მაგრამ თითონაც არ იცოდა, რას ეძახდა.

წავიდა. იმ ღამეს ძილი არ მიჰკარებია. ფიქრები კატოზე და თავის ცოლშვილზე ტვინს უღრღნიდა ნოეს.

... უკვე ყველა ადგა ლოგინიდან. არ იძროდა მხოლოდ საბანში გახვეული ნოე. თითქოს არც კი სუნთქავსო, კუნძივით ეგდო. ცოლს შეეშინდა, ხომ არაფერი დაემართაო და საბანი გადახადა თავზე.

ნოემ თვალი მაინც არ გაახილა.

დოდომ ხელი სტაცა და მაგრა შეარხია:

— ადე ნოე, რა დაგემართა?

ნოე მხოლოდ შეიშმუშნა ლოგინში და კვნესა აღმოხდა.

— რა მოგივიდა ნოე! — კვლავ შეშინებული იძახდა დოდო და ქმარს არ ეშვებოდა.—ავად ხარ? თითქოს სიცხე გაქვს ნოე.

— არა, დოდო, არა... თავი მტკივა... ჩქარა ავდგები, — როგორღაც იყო მიუგო ნოემ და თვალი გაახილა.

ნოე წამოდგა ლოგინიდან, თავის ტკივილის მომიზეზებით იმ დღეს სამსახურში აღარ წასულა. უაზროდ დადიოდა ოთახში, ოხრავდა, კვნესოდა, სუნთქვა ეკვროდა.

როცა დაღამდა, ვეღარ მოითმინა და კატოსთან მივიდა ბინაზე.

კატომ კარი გაუღო, მაგრამ როცა ნოე შევიდა, წინ გადუდგა:

— რას გვეტყვით ახალს? თუ ისევ „არათი“ მოხვედი, ჩემი ბინის კარები დაკეტილია!

ნოემ თავი დახარა, ერთხანს უხმოდ იდგა.

— მაშ აგრე, არა?! — უკვე გაჯავრებით დაიძახა ისევ კატომ, რომელიც კარგად მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ნოეს დუმილი. ხელი ჰკრა და გარეთ გააგდო — წადი! — მიაძახა და კარი მიუკეტა.

ნოე გამოერკვა, ეცა კარებს, მოსწია, მაგრამ გვიან იყო.

— კატო, რას ჩადიხარ? გააღე კატო, სიტყვა მაქვს შენთან! უძახდა ნოე, მაგრამ შიგნიდან ხმას არავინ სცემდა.

მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ კატომ „შავი თვალები“ დაუკრა როიალზე და თან დაამღერა.

ნოეს მთლად მოუკვდა გული, ვერ გაუძლო. მუსიკის ხმა ტყვიასავით ხვდებოდა მის გულს. განშორდა კარებს და შინისაკენ წავიდა.

შინ რომ მივიდა, მკვდრის ფერი ედო, თითქოს სციოდა, კანკალებდა, თვალებს უცნაურად აცეცებდა ოთახში და ქოშინებდა. მოწყვეტილი დაეშვა დივანზე.

ელდანაცემი დოდო დიდხანს ეხვეწა, ემუდარა ნოეს გაემხილა მისთვის რა დაემართა. მაგრამ ნოე პასუხს არ აძლევდა, კვნესოდა მხოლოდ და შუბლზე ხელს ისვამდა.

ბოლოს როგორც იყო, გამოუტყდა ცოლს ყველაფერში, თავი დამნაშავედ აღიარა დოდოს წინაშე, მაგრამ შემდეგ გამოუცხადა:

— მივდივარ. დოდო... უნდა გაგშორდე.. ვკვდები, ჩემი ბრალი არ არის დოდო...:

დოდო გაშეშდა, გაფითრდა, გაშრა. თვალებში უეცრად შიში ჩაესახა და აკანკალებული ხელი ნოეს გაუწოდა:

— რა სთქვი, ნოე?—ძლივს წარმოსთქვა დოდომ ჩურჩულით და ჩალურჯებული ტუჩები აუცახცახდა.

ნოემაც ხელი გაუწოდა, მაგრამ დოდო დივანზე გადაიქცა და თვალები დახუჭა:

— მიშველეთ! — დაიძახა ნოემ და ზეზე წამოიჭრა, მეორე ოთახიდან ჭიქით წყალი გამოარბენინა და სახეში შეასხურა დოდოს. მალე შინა მოსამსახურეც წამოშველა. დოდო დივანზე პირაღმა გააწვინეს და ვალერიანის წვეთები შიასვეს. დოდომ ტუჩები აატოკა, თვალები გაახილა. კარგა ხანს უაზროდ უცქეროდა ნოეს სახეში და ვერას სცნობდა, უკვირდა დოდოს საიდან მოვიდა ეს შავი, უხეში კაცი, რომელიც დოდოს თვალს არ აშორებდა.

— დოდო, რა დაგემართა? — შეეკითხა ნოე და შუბლზე ხელი დაადო.

დოდო შეაკრთო ნოეს ხელმა.

კიდევ კარგა ხანს უცქეროდა დოდო იმ უცნობ კაცს, რომლის დანახვაც შიშს ჰგვრიდა. შემდეგ კვნესა აღმოხდა, ღრმად ამოისუნთქა და სულ სხვა თვალებით შეხედა ქმარს. შეაჟრჟოლა, თვალი მოარიდა, სუნთქვას აუჩქარა და ჩურჩულით სთქვა:

— წადი ნოე... მიყვარდი.. სულელი ვიყავი, — და დოდოს გახელილ თვალებიდან ცრემლი წასკდა — არა უშავს რა... მე ჩემი ბავშვებით ვიცოცხლებ, ალბად, წადი...

ნოე წამოდგა. ოთახში ფეხაკრეფით გაიარ-გამოიარა, ასე ეგონა, ქვევიდან ცეცხლი აქვს შენთებული და ალზე ცურავსო. ბოლოს შეჩერდა დოდოს წინ. ძირს, იატაკზე საკუთარ ფეხებს დააშტერა თვალები და დაიწყო:

— საშინელმა სენმა შემიპყრო, დოდო... ცნება წამერთო. სულერთია, მაინც მკვდარი ვარ. იტირეთ ჩემზე! მე ცრემლი აღარა მაქვს, დოდო! მით უარესი.. ახ, ნეტავი ცრემლი მქონდეს, ეგებ ოდნავ გული გამიღბოს!

— წადი, წადი, ნოე—განუმეორა დოდომ, — წადი,...

ნოე უხმოდ გაეცალა. ისევე ფეხაკრეფით გავიდა მეორე ოთახში, იქვე ლოგინში მშვიდად ჩაძინებულ გოგონას შიშით გადახედა, მაგრამ სწრაფად მოსწყვიტა თვალი. ამ დროს აივნიდან წამოზრდილი ვაჟიშვილის მხიარული შეძახილი მოესმა.

ნოეს კვლავ შეაჟრჟოლა. ცოტახანს იდგა. შემდეგ ფანჯრიდან ვაჟიშვილს გახედა, შიში იგრძნო და უეცრად განშორდა ფანჯარას. განჯინიდან რაღაც ამოიღო. მცირე ყუთში ჩასდო, დაკეტა ყუთი, აიღო და აჩრდილივით კვლავ დოდოსთან გავიდა.

დოდო ისევ პირაღმა იწვა დივანზე და გაშტერებული ჭერს შესცქეროდა.

ნოე გასასვლელ კართან მივიდა, ფრთხილად გაალო იგი და ნახევრად გასულმა დოდოს მოხედა:

— მშვიდობით, დოდო! არ დაგივიწყებ... — სთქვა ეს, უხერხულად შეტრიალდა კარებში და წავიდა.

დოდო კარის მოკეტის ხმის გაგონებაზე პირქვე დაემხო და მთელის გულით აქვითინდა...

თითქოს უკანიდან ვინმე მისდევსო, ნოე აჩქარებით მიდიოდა ქუჩაში და ახლა კატოს შეცვლილ ხასიათზე ფიქრობდა: „ვინ იცის, ეგებ იმ ბიჭმა ჩაუნერგა კატოს ამოდენა გამბედაობა? ამ ბოლო დროს სამჯერ დავინახე გრიშასთან. შეიყვარა? შეუძლებელია! მაშინ ქმრობას აღარ მომთხოვდა“, — თავი ინუგეშა და გზა განაგრძო.

მივიდა. დააკაკუნა. კარი გაიღო და კატო გამოჩნდა. ნოე ყუთით ხელში შევიდა.

კატო მიხვდა, რომ ნოე ახლა სულ სხვა გადაწყვეტილებით მივიდა.

ნოემ ყუთი მაგიდაზე დააგდო და სავარძელში მოჭრილივით ჩაეშვა.

კატომ ზურგი უჩვენა ნოეს, სარკესთან მივიდა, სახეზე პუდრი წაიცხო და თითქო თავისთავს ეუბნებაო, გამომცდელი კილოთი ხმადაბლა სთქვა:

— სჩანს გადასწყვიტე და მოხვედი.

—მოვედი, კატო! — ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მიუგო ნოემ, რომელიც ჩაქინდრულ თავს მაღლა არ იღებდა, — ახლა მთლად შენი ვარ და რაც გინდა ის მიყავი.

კატოს სიცილი აუვარდა.

—— დაიგვიანე! — ცივად სთქვა მან.—ისე კი მე მხოლოდ გამოცდა მინდოდა. რაც მაღელვებდა, უკვე მივიღე... ახლა მშვიდობით.

თითქოს ნოეს გული შუაზე გაუპესო, შეხტა უეცრად და ზეზე წამოიჭრა.

— ეგ რა სთქვი, კატო? — დაიძახა ნოემ...

ამ დროს ტელეფონის წკრიალი გაისმა. კატომ მიირბინა და მილი აიღო:

— გრიშა ხარ? მოვდივარ! კარგი, კარგი, კარებთან დამხვდი ჰო, კარგი, მოვდივარ! — დაასრულა და მილი დასდო — რაისა! — გასძახა მან და ოთახში შინამოსამსახურე შემოვიდა. — მიხედე აქაურობას! სტუმარს ნუ მოაწყენ. მშვიდობით! — დაიძახა მან და მოწყვეტით გაემართა გასასვლელ კარებისაკენ.

თავბრუდახვეული ნოე წაბორძიკდა, მაღლა აპყრობილი ხელები ჰაერში ისე შეატრიალა, თითქოს უძირო მორევში ჩააგდესო, იღუპება და მაინც ცდილობს გაუსხლტეს ყველაფრის ჩამძირავ მორევს.

—კატო! შეჩერდი კატო! — ყვიროდა ნოე, მაგრამ გარეთ გასულმა კატომ კარი ისე მაგრა მოაჯახა, რომ ნოე კინაღამ დაეცა ძირს, მაგიდას დაეყრდნო და თვალები დახუჭა.

ყურებში რაღაც ჟრიალი ესმოდა. ბოლოს ნოემ თავი აიღო, ოთახში მიმოიხედა, მაგრამ აქ არავინ არ იყო. მხოლოდ მეორე ოთახიდან მოისმოდა რაისას უდარდელი სიმღერა. გულში ახალი ტკივილი იგრძნო და მთლად დაგესლილმა ბორძიკით გაიარა ოთახში.

მთვრალივით მიდი-მოდიოდა კედლიდან კედლამდე. უნდოდა თითქოს დაფანტული აზრებისათვის თავი მოეყარა, მაგრამ ამაოდ. შემდეგ კარი გააღო და გავიდა. მიტანილი ყუთი იქ დაავიწყდა. კარი არცკი მიუხურავს, ისე გავიდა ქუჩაში.

ღამის პირველ საათამდე დადიოდა ნოე ქუჩაში. მოწმენდილ ცას უცქეროდა, პირი გაეღო და ძლივს სუნთქავდა. ბოლოს გადასწყვიტა, ისევ უკან წასულიყო, მიტოვებულ ცოლშვილთან, უფრო თამამად გადასდგა ნაბიჯი, შემდეგ მოუჩქარა და ბოლოს გაიქცა, რომ უკან დატოვებული უბედურება არ დასწეოდა.

მივიდა. ბინის კარები დააკაკუნა. არავითარი ხმა არ ისმოდა. შემდეგ მოუმატა კაკუნს და ბოლოს გამაყრუებელი ბრახუნი ასტეხა. ბოლოს შიგნიდან მოისმა ქალის ხმა:

— ვინა ხარ?

ნოე მიხვდა, რომ დოდო იყო, მაგრამ პასუხის გაცემა ვერ გაბედა.

— ვინა ხარ?—განმეორდა იგივე ხმა.

როგორც იყო ნოემ ხმა ამოიღო:

— მე ვარ!

— ვინ შენ?

— მე, ნოე, ვარ, დოდო.. მოვედი, გამიღე კარი!

— ნოე? რა გინდა, ნოე?

— მოვედი, დოდო. სამუდამოდ დავბრუნდი შენთან!

— დაბრუნდი?—იკითხა დოდომ და მერე გადაწყვეტით გასძახა:—წადი, წადი, ნოე! აღარ მინდიხარ... ხვალ თორმეტ საათზე მაჩში ვიქნები და გაყრა გავაფორმოთ.

— რას ამბობ, დოდო?! გააღე კარი და ყველაფერს გეტყვი! მე შენი ნოე ვარ! არა გრცხვენია? გააღე, დოდო!—შეეხვეწა ნოემ, მაგრამ დოდომ პასუხი აღარ აღირსა.

მთელი ერთი საათი იტრიალა კარებთან ნოემ, აბრახუნა კარები, გაჯიუტებულ დოდოს რას არ ჰპირდებოდა, ემუდარებოდა, მაგრამ დოდოზე ნოეს მუდარა აღარ მოქმედებდა.

მობეზრდა ნოეს. რამდენჯერმე კიდევ მოტრიალდა კარებთან დაჭრილივით და ქშენით დაეშვა კიბეებზე.

გავიდა ქუჩაში. მიდიოდა, მაგრამ თითონაც არ იცოდა სად, არც სურდა გაეგო. დღეს მის თავში დაბუდებული სიცალიერე ახლა მთელს სხეულს მოედო, გულში შევიდა და თითქოს ძვლებსაც კი გაატანა. ახედა მოწმენდილ ცას, სადაც ვეებერთელა, პირბადრი მთვარე დინჯად დასცურავდა: „მთვარიანი ღამეა“, რატომღაც უთხრა ნოემ თავის თავს და გზა განაგრძო.

მეორე დღეს სრულ 12 საათზე ნოე გულის ფანცქალით მივიდა მმაჩში. კიბეებზე ფრთხილად ავიდა. ორი ღამის უძილობას და მღელვარებას მთლად შეეცვალა: თვალები ჩაჰქრობოდა, [illegible] წვერი წამოზრდოდა, [illegible] თავზე თმა [illegible] კარი შეაღო. თვალები [illegible] და იქვე მაგიდასთან მოწყენილად ჩამომჯდარ დოდოს რომ შეხედა, გული შეეკუმშა, ნეტავი დოდოს არ გავერიყე და ყველაფერს დავთმობდიო,—გაუელვა თავში და იქვე მერხზე ჩამოჯდა.

დოდომ ძლივს იცნო შეცვლილი ნოე. მის დანახვაზე გულში რაღაც სიმწვავე იგრძნო და კინაღამ ტირილი მორთო.

—ეგ არის?—ჰკითხა მმაჩის გამგემ დოდოს.

— დიახ,—მიუგო დოდომ და მაგიდაზე თითები ნერვიულად აათამაშა.

—გაყრის მიზეზი?—იკითხა გამგემ, დაბალმა, მელოტმა კაცმა.

— მი-ზეზი?—ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მიუგო დოდომ,— მიზეზი არის.

— სახელდობრ?

— სახელდობრ? სხვა შეიყვარა. ეს სიტყვები რაღაც ტკივილით წარმოსთქვა დოდომ—მე არ მეგონა... აქ დოდოს სიტყვა გაუწყდა, ბაგე მოელრიცა და ტუჩზე იკბინა, რომ მომდგარ ცრემლისათვის გზა დაეხშო.

მმაჩის გამგემ ახლა ნოეს მიაპყრო თვალი:

— თქვენ რას იტყვით? სხვა შეიყვარეთ?

— ჩემი ცოლი, დოდო მართალია... მაგრამ მე მიყვარს, დოდო,— კარგა ხნის დუმილის შემდეგ მიუგო ნოემ.

— როგორ?—გაკვირვებით შესძახა მმაჩის გამგემ და ზეზე წამოდგა, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და გაიარ-გამოიარა,—იცით რა! ცოტაოდენი დუმილის შემდეგ განაგრძო მან—აქ რაღაც სხვა ამბავია: ჩემი რჩევაა წაბრძანდით შინ, კარგად მოიფიქრეთ და ხვალ შეგიძლიათ ისევ მობრძანდეთ...

— აჰ! აღმოხდა ნოეს თითქოს შვების კარი გულის და იმედის სხივი დაანახვესო და მის ჩამქრალ თვალებშიაც სხივი გამოჩნდა.— მართალს ბრძანებთ, სავსებით მართალს ბრძანებთ! მეც აგრე ვფიქრობ აგრე სჯობია!—დაასკვნა ნოემ, რაღაც ძალამ ზეზე წამოაგდო, გასასვლელ კარებთან მივიდა, ერთხელ კიდევ მოხედა შიშით დოდოს, რომლის თვალებშიც შეუცნობი გაკვირვება ჩასახულიყო, და გარედ გავიდა.

დოდოც წამოდგა გაკვირვებული და თითქოს გაბრაზებული მიაჩერდა მმაჩის გამგეს.

ჯერ აენთო დოდო—რა საჭიროა —შეჰყვირა მან და ერთ ხანს გაბრაზებული შესცქეროდა მმაჩის გამგეს, მაგრამ როცა ნოეს შეცვლილი სახე თვალწინ დაუდგა, უცბად მოეშვა, გვერდზე მიბრუნდა, შეჩერდა. შემდეგ ფრთხილი, მსუბუქი ნაბიჯით ღიაებულ კართან მივიდა, ანთებული თვალები ერთხელ კიდევ შიავლო გამგეს და გავიდა. ქუჩაში თვალი მოჰკრა ნოეს, რომელიც დასველებული ქუდით მობუზული იდგა. მან მორცხვად შეხედა დოდოს. დოდო უხმოდ წავიდა წინ და ნოეც უხმოდვე გაჰყვა უკან.

როდესაც დოდომ თავისი ბინის კარი შეაღო, ნოეს შეეშინდა, გარედ არ დამტოვოსო და სწრაფად შეჰყვა..

ცალცალკე ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ...

— უკანასკნელი გამოცდა იქნება ეს დოდო. დამნაშავე ვარ და უნდა მაპატიო..!—როგორც იყო ბოლოს ისევ ნოემ დაარღვია სიჩუმე და აცრემლდა.

დოდო კვლავ სდუმდა, შემდეგ ზეზე წამოდგა, ოთახში გაიარა და ნოესთან შეჩერდა.

— გეყოფა ნოე!... რომ არ მიყვარდე, მაშინ სხვა არის,— უთხრა დოდომ და მხარზე ხელი დაადო.

— ეხლა დავიბადე! ჩემი ცოლშვილი და ოჯახი მინდა: სამუდამოდ მორჩენილი ვარ!—იძახდა გახარებული ნოე.

ალიო მაშაშვილი

ა. სულავა

ისევე, როგორც ფილოსოფოსების შესახებ კ. მარქსი ამბობდა, ისინი არ იზრდებიან მიწიდან სოკოებივით, არამედ წარმოადგენენ თავიანთი დროის ნაყოფსო, პოეტებიც დროისა და ცხოვრების განსახიერებას წარმოადგენენ. „პოეზია თვით ცხოვრებააო“, ამბობდა გენიალური ბელინსკი. მაგრამ არიან პოეტები, რომლებიც ბედნიერ ვარსკვლავზე იბადებიან და განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს უკავშირდებიან. ასეთი ბედნიერება ბევრ პოეტს არგუნა ხვედრად კაცობრიობის ყველაზე დიდმა და ნათელმა საბჭოთა ეპოქამ.

ქართულ პოეზიაში ასეთი ბედნიერება ჩვენი დროის ერთ საუკეთესო პოეტს ა. მაშაშვილს ხვდა წილად. იგი, როგორც პოეტი, დაიბადა ქართველი ხალხის ბედნიერების გარიჟრაჟზე. ეს დრო საბჭოთა ახალი საქართველოს დაბადების დასაწყისია, ქართველი ხალხის ახალი ცხოვრების განთიადი. ამ განთიადმა აამეტყველა პოეტი ა. მაშაშვილი ახალი დროის რევოლუციური შთაგონებით და მისცა შესაძლებლობა პოეტური ნიჭის გასაშლელად. ა. მაშაშვილი საქართველოს ოქტომბრის პირობებში გამოზრდილი და შთაგონებული პოეტია. მას, როგორც პოეტს ამ რევოლუციურმა ხანამ მისცა მსოფლმხედველობრივი სინათლე და მანაც, როგორც პროლეტარულმა პოეტმა, საკმაო შესაძლებლობა გამოიჩინა თავისი პოეტური ვალის მოსახდელად.

სამართლიანად ამბობს თითონ პოეტი თავის შესახებ: „მე შემოვედი პოეზიაში რევოლუციური აზრით, განცდებით“. ა. მაშაშვილის რევოლუციური ნათლობა მისი შემოქმედების განვითარების პირველ ფურცლიდანვე იწყება. იგი თავიდანვე მჟღავნდება რევოლუციური, საბჭოური მოტივების პოეტად. პოეტმა განსაკუთრებული მონდომებით შეიყვარა რევოლუციური ბრძოლის თემა და, როგორც თვითონ აღნიშნა ერთ თავის ლექსში, იგი გამოაცხადა თავისი ცხოვრების მთავარ თემად.

იშვიათია ქართულ მწერლობაში პოეტი, რომელსაც ისე ჰყვარებოდეს ბრძოლის თემა, როგორც ა. მაშაშვილს. მან განსაკუთრებული პოეტური გზნებითა და მარავანდელით შემოსა ეს დიდმნიშვნელოვანი თემა.

ბრძოლის დიდება, მისი რევოლუციური აპოლოგია და რომანტიკა ა. მაშაშვილის შემოქმედების ალფა და ომეგაა. იგი ამ თემით დავაჟკაცდა, როგორც საბრძოლო ემოციების პოეტი, პათეტიური ლირიკის ოსტატი.

თავის თანამოძმე პოეტებისაგან ა. მაშაშვილი ყოველთვის განსხვავდებოდა თავისებური მხატვრული პოტენციით, მდიდარი პოეტური მარაგით. იგი ყოველთვის ხასიათდებოდა როგორც ღონიერი პოეტი, რომელიც უშიშრად ჰკიდებდა ხელს დიდ თემებს და ტვირთავდა მათ პოლიტიკურად მახვილი აზრებით და იდეებით. მაშაშვილის ძალა, როგორც პოეტისა, სწორედ ამაში მდგომარეობს. იგი ყოველთვის ცდილობდა მდგარიყო ეპოქის მოძრაობის სიმაღლეზე.

რეალიზმის გრძნობა ა. მაშაშვილის პოეზიას თავიდანვე ახასიათებდა. ამაში იყო მისი დადებითი მნიშვნელობა. იმ პერიოდში, როდესაც იგი სწერდა იმ ლექსებს, რომლებიც შემდეგ „მერეხში“ შევიდნენ, იგი რევოლუციურ რომანტიზმთან ერთად რევოლუციური რეალიზმის გრძნობასაც ამჟღავნებდა და თუ რომანტიზმს ხშირად ა. მაშაშვილი კოსმიურობისა და განყენებულობის პოეზიაში გადაჰყავდა, რეალიზმი თავისებურად ისევ მიწისაკენ, ცხოვრების სინამდვილისაკენ აბრუნებდა პოეტს. „მერეხის“ პერიოდის ერთ-ერთ ლექსში ა. მაშაშვილი თხოულობდა—თავი დაენებებიათ პოეტებს ცაში ოცნებით უმიზნო ხეტიალისათვის და სიყვარულით დაეხედათ მიწისათვის. ამ ლექსში იგი ამბობდა:

„თქვენ, ეი, ცაში ბევრს ნუ დაეძებთ!
ძირს სიყვარულით დახედეთ მიწას“.

ეს იყო მოწოდება სინამდვილისადმი რეალისტური დამოკიდებულებისა. იმ პერიოდში, როდესაც ეს ლექსი იწერებოდა, ქართულ მწერლობაში ძლიერი იყო სიმბოლიზმისა და სხვა მრავალგვარი იზმების გავლენა. ა. მაშაშვილმა სცადა შებრძოლებოდა ამ ტენდენციას, რადგან ეს უკანასკნელი საბჭოთა მწერლობის განვითარებას აფერხებდა. და თუმცა თითონაც განიცდიდა კოსმიზმის გავლენას, მაინც სცადა გამიჯნოდა მას და აესახა საბჭოთა ცხოვრების კონკრეტული სინამდვილე. „მერეხის“ პერიოდის ლექსებით განიმტკიცა ა. მაშაშვილმა მებრძოლი პოეტის რეპუტაცია. თავის „ავტოპორტრეტში“ იგი მაშინ წერდა:

„მომაქვს გლობუსი, პოეზიის ლექსებით სავსე,
წინ გამაქანეთ, გამაქანეთ, რკინის რაშებო!“

„მერეხის“ პერიოდი მეტად საინტერესო ეტაპია ა. მაშაშვილის პოეტური კონცეპციის დასახასიათებლად. იგი ამ პერიოდში რევოლუციურად განწყობილი პოეტია, რომელსაც აპარებს ბედნიერება, რომ წილად ერგო ახალი ქვეყნის მებრძოლის სახელის ტარება („საზღვარზე“). პოეტს შეუყვარდა ცეცხლი. „მე შემიყვარდა დაუდგრომელ ქარიშხლის ტაში“, „მე მიყვარს ცეცხლი, მე ვანთებ კოცონს“, — სწერდა მაშაშვილი, და თუმცა მისი ლექსების დიდი უმეტესობა ამ პერიოდში კოსმიური ბრძოლის პოეზიაა, სადაც რევოლუციის ანარქიულ გაგებასთან ერთად ბევრ გულუბრყვილობას ჰქონდა ადგილი, იგი მაინც იგრძნობოდა სინამდვილისა და პოლიტიკური აზროვნების პოეტად. ამისი საუკეთესო დამამტკიცებელია ამ პერიოდის ლექსები: „ქალაქი ღამით“, „პროლეტარული ქალი“, „ლენინი“, „უნაყოფო ფიქრი მთვარეზე“, „მიმართვა პოეტებს“. ამ ლექსებში ა. მაშაშვილი მოსჩანს რევოლუციური სინამდვილის აღფრთოვანებულ პოეტად და თუმცა მას აქვს ისეთი ლექსები, სადაც იგი ბოჰემურ განწყობილებას ვერ ერიდება, („სამიკიტნოში“) წვრილბურჟუაზიული ურბანიზმის განცდებსაც აშკარავებს („ქალაქის კედლებში“, „ელვადანი“), მაგრამ მაინც ცხოვრების და ბრძოლის მოყვარული პოეტური გაქანების ბუნებრივ პოეტად მოსჩანს, რომლის ლირიკაც იტევს ფართო განცდებს და ღელვას.

თუ რამდენად სერიოზულ პოეტურ ძალას წარმოადგენდა მაშაშვილი ამ პერიოდში, ამტკიცებს მისი თუნდაც ისეთი ლექსები, როგორიცაა „კომკავშირული მარში“, „ვერხარნის ლანდი“, „გარდატეხა“, „საზღვართან“ და სხვ. ეს ლექსები იმ დროს იწერებოდა, როდესაც ჯერ კიდევ გრძელდებოდა ქართულ მწერლობაში დეკადენტური პოეზიის ტრადიციები და როდესაც ფუტურისტული ახალგაზრდობა უცნაური ლექსებით იწყებდა გამოსვლას; მაშაშვილი კი ამ დროს თავისი პოეზიის საქმედ რევოლუციურ ბრძოლას ისახავდა. ლექსში „გარდატეხა“ იგი ემშვიდობებოდა თავის ყმაწვილურ წარსულს და პათეტიურად აცხადებდა:

„მე ვარ პოეტი, სიტყვა მიყვარს მკვეთრი, ჩასრული,
ჩემი საყვარი ხელოვნების ბრძოლის ზარია,
ვიცავ სამშობლოს, რაინდულად ველზე გასული,
ჩემი კალამი მტრების მიმართ დღეს ისარია“.

ასეთი საბრძოლო მოტივებით შემოიჭრა იგი პოეზიაში და მისი „მერეხიც“ დარჩა მდიდარ პოეტურ მიღწევად, რომლის ხაზი მან შემდეგშიაც განაგრძო, მაგრამ ამავე თემატიკის გადამეტებული რომანტიკული გატაცებით ხშირად არღვევდა იგი თავისი პოეზიის რევოლუციურ გეზს და იდეოლოგიურ მარცხში ვარდებოდა.

გზა, რომელიც გაიარა ა. მაშაშვილმა „მერეხიდან“ უკანასკნელი წლების ლექსებამდე, სამწუხაროდ, არა ყოფილა ყოველთვის გამართული, სწორი, მას არა ერთხელ განუცდია სერიოზული იდეოლოგიური სახის ჩავარდნა, რასაც ჩვენი კრიტიკა რატომღაც „ზრდის ტკივილებს“ უწოდებდა.

საქმე, რასაკვირველია, იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ პოეტს ბრძოლა უყვარდა. ბრძოლა ჩვენი ეპოქის რევოლუციური მოწოდებაა. იდეურად შეურიგებელი და პრინციპული ბრძოლა ბოლშევიზმის საპელოვანი ტრადიციაა. მაგრამ პოეტს ახასიათებდა რეალურ სინამდვილეს დაცილებულ რომანტიკაში გადავარდნა. ეს იყო სწორედ სათავე იმ გადახრებისა, რომლებიც მის შემოქმედების განსაზღვრულ მომენტებს ახასიათებდა და ერთგვარ თემატიურ სივიწროვეს უქმნიდა. იგი, ბრძოლის რომანტიკით გატაცებული, ჰკარგავდა რევოლუციურ ზომიერებას და ულტრა—„რევოლუციონერობაში“ ვარდებოდა. პოეტის ასეთი სერიოზულ მარცხად უნდა ჩაითვალოს მისი „ძველი მაზარა“, „ლოდინი“, „გადახრა მთვარისაკენ“, რომლის ხაზი ახლა განვლილი და დაძლეული ეტაპია პოეტისათვის. ამ განწყობილებებიდან თავის სავსებით დახსნა პოეტმა შემდეგში შესძლო, როდესაც გადავიდა უფრო კონკრეტულ და ეპიურ თემებზე. „ინციდენტი უჯრედის კრებაზე“, „რიქშა“, „ლენინი ჩვენს საქმეში“ წარმოადგენენ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებმაც დამაჯერებლობა და ძალა შეჰმატეს ა. მაშაშვილის შემოქმედებას.

კონკრეტულ რეალისტურ თემებზე მუშაობის ცდები მას, რასაკვირველია, მანამდინაც ჰქონდა, მაგრამ ეს უფრო შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც პოეტმა გააძლიერა ეს ხაზი ახალი მონაცემებით.

ა. მაშაშვილის ადრინდელ ლექსებიდან უსათუოდ ერთ საუკეთესო ლექსად რჩება „ლენინი“. ლექსი დაწერილია დიდი **ლენინის** გარდაცვალების დღეებში და გამოხატავს პოეტის მწუხარებას იმ დიდი დანაკლისის გამო, რომელიც **ლენინის** გარდაცვალებით განიცადა მთელმა მოწინავე კაცობრიობამ. **ლენინზე** ძალზე ბევრი ლექსები დაიწერა, მაგრამ ა. მაშაშვილის „ლენინი“ ნამდვილი შედევრია. იგი დაწერილია იშვიათი პოეტური უბრალოებით და ემოციურობით. ამიტომაც შევიდა ლექსი ქრესტომატიებში. პოეტი **ლენინის** გარდაცვალებას კაცობრიობის გლოვად აცხადებს:

„შენ ჩამოგვშორდი, ბელადო ლენინ,
და ქვეყანაზე ობლად დაგვტოვე,
გადაეფარა ტრაური, ბნელი
კაცობრიობის სხვადასხვა ტომებს!
გლოვობს თბილისი, მოსკოვი კრემლით,
დროშებმაც თავი დახარეს დაბლა,
სიკვდილი, ნათელ სიცოცხლის ნგრევით,
ჩვენს ალმაფრენას დაეცა დამბლად!
მაგრამ, ო, არა, არ გვინდა ცრემლი,
შენ ჩვენთვის ეს არ გიკარნახია,
ვჯავრობთ საჯაროდ და სიკვდილს
ვუყვედრით,
რომ თავზე გვახევს ფიქრებს
ჩილქიანს!“

ადრინდელ ლექსებიდან აღსანიშნავია „მტკვარისტანი“, სადაც პოეტი ცდილობს საქართველოს ელექტრონულ გაჩირაღდნების სურათის დახატვას, რომ აჩვენოს ჩვენი სამშობლოს ახალი ბედი, რომლის მიწაზე, პოეტის სიტყვით, „შრომის დიდება ისტამბება ქვის სტრიქონებით“.

შემდეგი ნაწარმოები, რომელმაც კრიტიკისა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, იყო „მე და ბარათაშვილი“. პოეტი ამ ლექსით ორი საქართველოს დაპირისპირების ფონზე შეეცადა ეჩვენებინა სოციალისტური მშენებლობის, სოციალისტური ქალაქის უპირატესობა წარსულის ჩამორჩენილობასა და პრიმიტივთან. ლექსში არის მრავალი საინტერესო ადგილი, რომელიც სოციალისტური ქალაქის ჰიმნია:

თბილისში „მოკლეს“ ქართლის ბუნება,
აქ სიხარული მაინც დიდია,
გაქრა, არასდროს არ დაბრუნდება
ზურნა, დუდუკი და იდილია.
მხოლოდ აზიის დაღვრემილ ბედზე
სწუხს ყარაჩოღლი ნაავლაბარი
და საათნოვას ლოთიან ლექსებს
სადმე კუთხეში აღრჩობს არღანი“.

განსაკუთრებით კარგადაა დაწერილი ამ პოემის პირველი თავი, სადაც აღმშენებლობის პროცესია ნაჩვენები. ლექსში გაბნეულია მრავალი ლამაზად თქმული სტრიქონი, როგორც მაგალითად: „ყრუა შორი გზაც, ყრუა მინდორი, მთაზე ღრუბლები დაბალახობენ“, ან: „ელვარე მტკვარი ჰგავს ცისარტყელას, ქალაქის წელზე გადასალტული“. მაგრამ მთლიანად აღებული ამ პოემის კონცეპცია შემცდა-

(დასასრული მე-4 გვ.)

---

*) ა. მაშაშვილი, „ლექსები და პოემები“. სახელგამი.

საბჭოთა ფილმები საზღვარგარეთ

ყოველწლიურად მატულობს საზღვარგარეთ ინტერესი საბჭოთა ფილმებისადმი.

დიდის წარმატებით მიდის ამერიკის შეერთებულ შტატებისა და კანადის ეკრანებზე „ალექსანდრე ნევსკი". ამას წინად ეს ფილმი უჩვენეს „თეთრ სახლში" პრეზიდენტს. რუზველტმა ფილმი დიდად შეაფასა. „ალექსანდრე ნევსკის" დიდ წარმატებაზე ამერიკაში ცხადჰყოფს ის ფაქტიც, რომ „სასკოლო კომიტეტმა" (მშობელთა და მასწავლებელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა ამერიკის შეერთებულ შტატებში) და ამერიკისა და კანადის პრესამ ფილმი შესანიშნავად შეაფასა. აღნიშნულია განსაკუთრებით ამ ფილმის მნიშვნელობა ფაშიზმთან ბრძოლის საქმეში.

„ნევსკის სიტყვები მოისმის გამაფრთხილებლად ფაშისტური გერმანიის მიმართ",—სწერს ჩიკაგოს ჟურნალ „ლაიფის" რეცენზენტი.

კანადის გაზეთი „კანადიენ მუვინგ პიკჩერ დაიჯესტი" ასეთ აზრს გამოსთქვამს ფილმის შესახებ: „ალექსანდრე ნევსკი" არის შეტევა ფაშიზმის წინააღმდეგ და ჩვენ რომელთაც თვალის დასანახად გვეჯავრება ფაშიზმი — დემოკრატიის საერთო მტერი—მხარს ვუჭერთ ამ ფილმს".

დიდის წარმატებით აჩვენებენ ამერიკის ეკრანებზე აგრეთვე საბჭოთა ფილმებს: „პროფესორ მამლოკს" და „ჭაობის ჯარისკაცებს". ამ უკანასკნელმა ფილმმა ნიუ-იორკის კინო - თეატრს „უოლდორფს" სარეკორდო შემოსავალი მისცა. იქ ამ სურათს რამდენიმე კვირის განმავლობაში უჩვენებდნენ.

მექსიკის სახალხო განათლების დეპარტამენტმა განკარგულება გასცა, რათა ფილმი „პროფესორ მამლოკი" აჩვენონ მექსიკის ყველა მოსწავლეს, რისთვისაც ბილეთების ფასი შემცირებული იქნა ორ ცენტამდე.

მაისსა და ივნისში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში უჩვენეს საბჭოთა ფილმები: „ლენინი 1918 წელს", „ვიბორგის მხარე" და „ოპენგეიმების ოჯახი". გაზეთი „გერალდ ტრიბუნი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კინოფილმი „ლენინი 1918 წელს" არის საბჭოთა კინომატოგრაფიის უბრწყინვალესი მიღწევა. „დეილ ნიუსი", „ნიუიორკ ტაიმსი" და სხვა გაზეთები ამ ფილმს მაღალ შეფასებას აძლევენ.

გმირული ჩინეთის მშრომელები დიდის მოუთმენლობით ელიან საბჭოთა ყველა ახალ ფილმს.

დიდი წარმატება ხვდა ფილმს „სოლოვეი სოლოვუშკას" ჩუნცინში. ფილმი ერთსა და იმავე დროს მიდიოდა ორ კინოთეატრში და დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო ხალხით. რამდენიმე დღის განმავლობაში ფილმი ინახულა 20.000 მაყურებელმა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უკანასკნელ თვეებში უჩვენეს სურათები: „ლენინი ოქტომბერში", „სოლოვეი სოლოვუშკა", „გამარჯვება", „პეტრე I" (ორივე სერია), „ალექსანდრე ნევსკი", „ვაიჩი", „ადამიანებში", „ზღვის საგუშაგო" და სხვა.

ლიტვის მუშათა პალატის მოძრავმა კინომ, რომელიც აჩვენებდა საბჭოთა ფილმებს, ამას წინად ჩამოიარა რესპუბლიკის 10 პუნქტი. სეანსები ჩატარებული იქნა სანატორიუმებში, სამხედრო ნაწილებსა და მუშათა კლუბებში. ფილმები: „ჩრდილოეთ პოლუსზე", „მოსკოვის კულტურის პარკი", „ტალანტების სკოლა" 20 დღის განმავლობაში ინახულა 20.000 კაცმა.

მაისში ქალაქ რიგის კინო-თეატრში „პალადიუმში" უჩვენებდნენ ფილმს „საზღვარზე". პირველ დღიდანვე ფილმს ნახულობდა უამრავი ხალხი. ისეთ სცენებს, სადაც გამომჟღავნებულია დივერსანტები და სადაც იაპონიის აგრესორები მარცხდებიან, მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით ეგებებოდა. პირველ ოთხ დღეში სურათი ინახულა 13.000 კაცმა. ყველაზე დიდ თეატრში არ იყო დარჩენილი არც ერთი ადგილი. მაყურებელთა უმრავლესობა ყიდულობდა შესასვლელ ბილეთებს და სურათს ფეხზე მდგომი უყურებდა.

საბჭოთა ფილმის ასეთმა წარჩინებამ ძალზე შეაშფოთა ლატვიის ცენზურა. ფილმის დემონსტრაციის მესამე დღეს ფილმიდან ამოჭრეს ზოგიერთი სცენა. კინო-თეატრის ადმინისტრაციას წინადადება მიეცა „არ დაუშვას კინოსეანსების დროს ტაში".

ფაშისტური ელემენტები ყოველნაირად ცდილობენ ჩაშალონ საბჭოთა ფილმების დემონსტრაცია. საგულისხმო შემთხვევას ქონდა ადგილი ნიუ-იორკის ერთ-ერთ კინოთეატრ „ტელიაში", სადაც უჩვენებდნენ კინოსურათ „ჭაობის ჯარისკაცებს". სეანსის დროს დარბაზში გასკდა ცრემლისმდენი რამდენიმე ყუმბარა. მრავალ მაყურებელს, მათ შორის ქალებსა და ბავშვებს, ხელები და თვალები დაეწვა. რა თქმა უნდა ეს იყო ფაშისტ დივერსანტების მიერ მოწყობილი საქმე.

მაგრამ ვერც ცენზურის სასტიკი ზომები, ვერც ფაშისტური აგენტების ბანდიტური გამოსვლები ვერ შეაჩერებენ საბჭოთა ფილმების გამარჯვებულ მოძრაობას მსოფლიოს ეკრანებზე.

ახალი ოპერა „დეპუტატი"

კომპოზიტორი შალვა თაქთაქიშვილი სწერს ახალ ოპერას. ლიბრეტო ეკუთვნის გიორგი თაქთაქიშვილს და რეჟისორ ალ. თაყაიშვილს. ოპერის თემად აღებულია საბჭოთა ქალის ყოფა-ცხოვრება. ოპერის პირობითი სახელია „დეპუტატი".

კომპოზიტორი ფიქრობს ოპერა დაასრულოს და ჩააბაროს თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრს ოქტომბრის რევოლუციის 22 წლისთავზე.



„მწვანე კონცხი" (1939 წლის საგაზაფხულო გამოფენიდან). მხატ. ხ. ნადარეიშვილი.

კოტე მარჯანიშვილის არქივი

პუშკინის სახელობის თბილისის თეატრალურმა მუზეუმმა შეიძინა კოტე მარჯანიშვილის არქივი, რომელშიაც მრავლად მოიპოება ძვირფასი მასალა ამ დიდი რეჟისორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად.

არქივი შეიცავს კ. მარჯანიშვილის მემუარების ხელნაწერებს (1903 — 1921 წლამდე), რომლებშიაც ვრცლად არის აღწერილი მისი მუშაობა რუსულ სცენაზე.

არქივში არის მარჯანიშვილის მიმოწერა ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან და რუსული სცენის სხვა ცნობილ მოღვაწეებთან.

კოტე მარჯანიშვილს განზრახული ჰქონდა დაეწერა წიგნი მსახიობის შემოქმედებაზე: „ასი მსახიობი ჩემს ხსოვნაში". როგორც ვიცით, განზრახვა ვერ შეასრულა. არქივში დარჩენილია წიგნის გეგმა და პირველი ფურცლები.

არქივში მოიპოება საკმაო საბუთები მის შესახებ, თუ როგორ სდევნიდა მარჯანიშვილს მეფის მთავრობა და ცენზურა.

„ქალაქ გორის ისტორია"

მწერალთა სასახლეში 14 ივლისს, საღამოს 8-ნახ. საათზე, შესდგება ამხ. გუგული ბუხნიკაშვილის მოხსენება თემაზე „ქალაქ გორის ისტორია".

კონკურსი ლერმონტოვის ნაწარმოებთა შემსრულებლებზე

მიმდინარე წლის ოქტომბერში სრულდება 125 წელი დიდი რუსი მწერლის მ. ლერმონტოვის დაბადებიდან. ამის გამო სრულიად-რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი პოეტის ნაწარმოებთა საუკეთესო წამკითხველზე.

კონკურსი დაიწყება 1939 წლის 20 სექტემბერს. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან მსახიობები, რომლებიც მუშაობენ მხატვრული სიტყვის დარგში და დრამატიული თეატრების აქტიორები.

თვითმოქმედი წრეების მონაწილენი და თეატრალური სასწავლებლებისა და სტუდიების მოსწავლენი კონკურსზე დაიშვებიან კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის განსაკუთრებული ნებართვით, მხატვრული თვითმოქმედების ან სათანადო სასწავლებლის ხელმძღვანელობის განაცხადის საფუძველზე.

დაწესებულია ხუთი პრემია.

ახალი წიგნები

„დავით ალმაშენებელი"

კონსტანტინე გამსახურდია ამზადებს რომანების სერიას ქართული ქრონიკების საფუძველზე (VII, XI, XIII საუკ). ავტორს განზრახული აქვს ქართლის ცხოვრების უმთავრესი მომენტების მხატვრული ეკვივალენტის მოცემა. ამავე სერიის პირველი რაინდული რომანი იყო „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა", ხოლო მეორე იქნება რომანი—ტრილოგია „დავით ალმაშენებელი". ამ ტრილოგიაში მოცემული იქნება XI საუკ. მიწურულის საქართველო. მისი სოციალ-პოლიტიკური ვითარებანი, დიდი მასშტაბის მშენებლობის პრაქტიკა და ის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლები, რომელთა არენად იქცა იმჟამინდელი საქართველო.

ი. გრიშაშვილის ახალი ლექსები

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ი. გრიშაშვილის ახალი ლექსების წიგნი. წიგნში მოთავსებულია პოეტის 19 ახალი ლექსი, რომლებიც გამოქვეყნდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში 1934-1939 წლებში.

სხვათა შორის, წიგნში დაბეჭდილია შემდეგი ლექსები: „თბილისი", „გრიგოლ ორბელიანი ახალ ნარიყალზე", „წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან", „შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში", „ვეფხისტყაოსანი" და ჰიაკოკონა", „მაიკო ორბელიანს", „ვეფხის-ტყაოსანი", „ახალი სოფელი", „ნარინჯიანი", „პუშკინი და ილია", „კიროვის ბაღში", „ჯამბულს", „ილია საგურამოში", „პეტერგოფის შადრევნები", „მარჯანიშვილის სურათთან", „მეთევზე პეპოს სიმღერა", „სამშობლოსადმი", „მუხამბაზი", „სომხეთს", „ჩემი ალმართი", „ახალი წელი".

წიგნს წამძღვარებული აქვს ალ. სულავას წერილი ი. გრიშაშვილის შემოქმედებაზე. წიგნი გამოცემულია ლამაზად, ყოველ გვერდზეა ლექსის შესაფერი თავსართავი და ბოლო სამკაულები. წიგნი შეიცავს 48 გვერდს და ღირს 4 მანეთად.

„სურამის ციხე" რუსულად

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ „ქართული მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკის" სერიაში გამოსცა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე". წიგნი შეიცავს 120 გვერდს და ღირს ერთ მანეთად.

ალიო მაშაშვილი

(დასასრული)

რია. ბარათაშვილი, რომელსაც ესაუბრება პოეტი, წარმოდგენილია როგორც ბნელი აზრებისა და ჩამორჩენილობის პოეტი. თუ, ერთის მხრივ, სწორია ის აზრი, რომ

> „საუკუნეზე დიდხანს ივლიან,
> ვინც ხალხის გულში დასდგა კარავი,
> ცოცხლობს აკაკი, ვაჟა, ილია,
> წარსულის ფერფლით დაუფარავი."

მეორეს მხრივ—ამ ლექსის შეცდომაა ბარათაშვილის, ქართველი ხალხის გენიალური პოეტის, ისე წარმოდგენა, როგორც ეს ა. მაშაშვილს აქვს. ბარათაშვილი პრიმიტიული საქართველოს მაჩვენებლად არ გამოდგება, მით უმეტეს, არ შეიძლება მისი უკვდავი მერანის შესახებ ასე წერა: „შენი მერანი? ჰო, არა უშავს, იქნებ ჩალანდრად კლდეს გადმოვიდეს". არაა მართალი პოეტის თქმა: „ბარათაშვილო, მტკვარზე იწვოდა შენი ცხოვრება". ა. მაშაშვილი უსაყვედურებს ბარათაშვილს, თითქოს იგი ყველაფერს ჰგმობდა და ემდუროდა, იყო მშიშარა. ა. მაშაშვილს ავიწყდება, რომ ბარათაშვილს ეკუთვნის ასეთი სიტყვები: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს". არც ასეთი ჭკუის სწავლებაა ბარათაშვილისადმი მართებული, თითქოს ბარათაშვილს მაინცდამაინც უნდა დაენახა მუშა ბოქულაძე („რა იქნებოდა, ცხოვრების თვალში შენ ბოქულაძე რომ დაგენახა"?). ეს, უბრალოდ რომ ვთქვათ, გულუბრყვილობაა. პოეტი ერთ ადგილას სწერს: „უკვდავი აზრის უკვდავ სტრიქონებს ინახავს ხალხი და არა წიგნი"-ო. აზრებს ხალხიც ინახავს და მასთან ერთად წიგნიც. მაგრამ ამ პოემაში ყველაზე დიდი შეცდომაა ღირსეულ საბჭოთა პოეტებისადმი არა მართებული დამოკიდებულება; ა. მაშაშვილი პოემა „ჯონ რიდის" ავტორს უსაყვედურებს: „ან და რად ვარგა ვუმღერო ჯონ რიდს, თუ ჯონ რიდივით გული არ ფეთქავს". გამოდის, „ჯონ რიდის" ავტორი ფიქრობდა ერთს და სულ სხვას სწერდა.

მაგრამ ეს გამონაკლისი არ არის. ასეთივე დაუშვებელი გალაშქრებაა საბჭოთა პოეტების მიმართ ა. მაშაშვილის მეორე ლექსი „მწერლობის მძიმე ინდუსტრია". იგი „ჯონ რიდისა" და „ეპოქის" ავტორს აქაც ურჩევს—წერტილი დაუსვას თავის თავს. ასევე შეუფასებლად იხსენიებს იგი „უშგულის კომკავშირისა" და „შემოღამება ხახმატში"-ს ავტორს. და ეს იმ დროს, როდესაც პოემაში, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე, არის განცხადება იმის შესახებ, თითქოს ა. მაშაშვილმა უკვე მიაღწია საქართველოში ლიტერატურულ დიქტატურას....

ერთგვარი გარდატეხა ა. მაშაშვილის შემოქმედებაში იწყება იმ პერიოდიდან, როდესაც მან სცადა საყოფაცხოვრებო თემაზე წერა. პირველ ასეთ სერიოზულ და საინტერესო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს „ინცინდენტი უჯრედის კრებაზე". ლექსი აყენებს პარტიაში შემოპარული, შენიღბული მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. მომხდარი ინცინდენტის გადმოცემის თხრობაში პოეტი იჩენს სიდინჯეს და სასაუბრო მანერით დამაჯერებლად ხატავს საეჭვო ადამიანის სახეს. ასეთივე მანერითაა დაწერილი მაშაშვილის მიერ არა ნაკლებად საინტერესო ნაწარმოები: „აი ადამიანი". ეს პოემა ვ. მაიაკოვსკისებური სიმახვილითაა დაწერილი და წარმოადგენს გესლიან დაცინვას მოლაყბე ობივატელზე, რომელიც მეშჩანური ტრადიციების მონაა. რევოლუციაზე მიტმასნილი ასეთი ადამიანების ტიპების დახატვაში ა. მაშაშვილმა დიდი სიმახვილე გამოიჩინა.

ინტერნაციონალური ბრძოლის თემაზეა დაწერილი მაშაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „რიქშა". პოეტი მოუწოდებს ჩინელ მოძმეს—გასცვალოს ცრემლი ბრძოლაზე:

> „შენც წამოდექი, ჩინელო ძმაო,
> მოკიდე ხელი ხმალს და იარაღს,
> დროა: ცრემლები სისხლში გასცვალოს
> ოხრად-შობილმა ადამიანმა".

დამახასიათებელი პათეთიურობით ამეტყველებულია ჩვენი ქვეყნის შრომის ენტუზიაზმისათვის ბრძოლა ა. მაშაშვილის „დამკვრელ ბრიგადებში". ეს ლექსი შრომის ენტუზიაზმისა და სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დიდებაა. პოეტი შრომის გმირებს ქებათა-ქებას უძღვნის და თავისი პოეზიის ამოცანად მიაჩნია დამკვრელური ბრძოლა. სავსებით სწორად და კარგად აქვს გადმოცემული ა. მაშაშვილს ეს განწყობილება

> „მეც გეგმაში მაქვს, კალმით გავთხარო
> მთების კლდე-გული და წყაროები,
> ფიქრთა გვირაბი არის მაღარო,
> ლექსი—ფოლადის ნაწარმოები!
> აგრიგალებულ შრომის დაზგაზე
> დამკვრელ სტრიქონებს ვაწყობ რკინებად,
> რომ სხვა იარაღთ შორის დამზადდეს
> ბოლშევიკური განწყობილება!"

პოეტურად მაგრად შეკრული და მშვენივრად ნათქვამი ეს სიტყვები ბევრ ღირსეულ საბჭოთა პოეტს შეუძლია გაიმეოროს.

ბოლშევიკური განწყობილებების შემქნელ ლექსებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მაშაშვილის ისეთი ლექსები, როგორიცაა „ლაითურის კომკავშირი", „ჰიმნი სამშობლოს" და „სამშობლო ბელადისა". ეს ლექსები ა. მაშაშვილის იდეური და პოეტური ზრდისა და დავაჟკაცების მაჩვენებელია. ამ ლექსებში ა. მაშაშვილი მოსჩანს სოციალისტური ლირიკის ოსტატად, ბოლშევიკური განწყობილებების შემქნელ ჯანსაღ პოეტად. სწორედ ასეთი ლირიკული სიჯანსაღით უმღერის პოეტი პლანტაციებით აყვავებულ გურიას და კომკავშირულ ბრიგადის შრომას, სადაც

> „ყველა გმირი და ყველა ვაჟკაცი
> ჰგავს ბრძოლის ველზე გასულ მეომარს".

ა. მაშაშვილს აქვს უაღრესად ლირიკული ლექსი „ხორგა", სადაც ჩვენი სამშობლოს აყვავების სიხარულია გამოთქმული. ლექსის პირველი ნაწილი დაწერილია 1924 წელს, სადაც პოეტის ქაოტიან სოფლიდან გამოქცევის ამბავია მოთხრობილი. ლექსის მეორე ნაწილი დაწერილია 1934 წელს და გამოხატავს ახალი კოლხიდის სურათს. ეს სურათი დახატულია ლამაზი პოეტური ფერებით, რაც ა. მაშაშვილის ლირიზმისა და პეიზაჟის გრძნობის სიმდიდრეზე მეტყველებს.

> „აი, გავცქერი მშობლიურ სახლს, ყავარ გათელილს,
> ეზოც აქარგულ ხალიჩებით არის გაშლილი,
> კვლავ დაბაჩუნობს დედაჩემი სახე-ნათელი,
> დასდევს ხბოსა და... ხბოც კუნტრუშობს ბაღში ბავშვივით!
> შორს კი ნალმების აფეთქებით კრთიან ველები,
> უმურს ებრძვიან ჟანგისფერი კოლხიდელები,
> წყალნი წასულან და წასულა სადღაც რიონი,
> კოლხიდის მიწა ტანს იშუშებს სველს და მანკიერს,
> და ჩემს ეზოშიც, ლაქაშების ნესტის მაგიერ,
> მანდარინების, ნარინჯების დგას ალიონი"

უფრო ძლიერი სილაღითა და სასიხარულო განწყობილებების სიუხვითაა გადმოშლილი საქართველოს აყვავება, მისი გაზაფხულის დიდება ა. მაშაშვილის „გაზაფხულში". ეს ლექსი უსათუოდ საუკეთესო მიღწევაა საბჭოთა ლირიკული პოეზიისა. ნამდვილი საბჭოური სიამაყით აცხადებს ა. მაშაშვილი—გაზაფხულია ჩემს ქვეყანაშიო და ამ გაზაფხულში ის გულისხმობს არა მარტო იმას, რომ

> „ათქვირებულან ნორჩი ხეები,—
> ვარდ-ყვავილების ფიქრით მოცულან,
> ადუღებულან მდინარეები,
> ნაპირებიდან რძე გადმოსულა."—

არამედ იმას, რომ ეს ჩვენი ხალხის ბედნიერი ცხოვრების გაზაფხულია. განსაკუთრებით არ დაუზოგავს ა. მაშაშვილს თავისი პოეტური მარაგი და ტემპერამენტი ამ ბედნიერებით სავსე ქართველი ხალხის გაზაფხულის გამოსახატავად თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში—„სამშობლო ბელადისა". ეს ლექსი ნამდვილი პოეტური შედევრია, რასაც არ აკლია არც მდიდარი პოეტური სახეები, არც ბუნების სილამაზის შეგრძნობის ძალა, არც სიხარულის გრძნობა და, რაც მთავარია, არც პოეტური ჰიმნი იმ ადამიანისადმი, ვინც ამ ბედნიერების აზრებს სთესავდა—დიდი **სტალინისადმი:**

> „აზრებს თესავდი დედამიწაზე,
> რომ გაზაფხული ამოგვეყვანა,
> კიდეც ასრულდა: შენი დროშებით
> გათენებულა ჩემი ქვეყანა!".

დიდ ბელადზე ბევრი საუკეთესო ლექსი დაიწერა, მაშაშვილის „სამშობლო ბელადისა" ამ ლექსებს შორის უსათუოდ დარჩება როგორც საუკეთესო და ფრიად ორიგინალური ლექსი. ა. მაშაშვილმა ამ ლექსით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის არის ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი, რომელსაც შეუძლია ჩვენი ცხოვრების მოვლენები, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილება და ბედნიერება ასახოს შესაფერი მხატვრული სიძლიერით, სიმახვილით, უცქიროს ამ მოვლენებს ხალხის თვალით და გადმოშალოს იგი შესანიშნავი მხატვრული ტილოებით.

ა. მაშაშვილის პოეტურ სიძლიერეზე ლაპარაკობს პოემა „ენგური", სადაც მრავალი შესანიშნავი ადგილია და სადაც მოხერხებულადაა დახატული ადამიანთა ტიპებიც. ამ პოემას, რასაკვირველია, აქვს თავისი სუსტი მხარეებიც. ზოგან არა დამაჯერებელია მხატვრული სიტუაციები და სიუჟეტური განვითარებაც სუსტია, მაგრამ პოემა „ენგურით" ა. მაშაშვილმა დაამტკიცა, რომ მან საბოლოოდ გაარღვია თავისი ძველი რომანტიკულ-თემატიკური სივიწროვე და გამოვიდა ცხოვრების კონკრეტული და ფართო ასახვის გზაზე.

ა. მაშაშვილი უხვი მარაგის პოეტია, რომლისგანაც უნდა მოველოდეთ ახალ-ახალ მიღწევებს სოციალისტური პოეზიის ფრონტზე.

საზღვარგარეთ

ლიტერატურული პრემიები საფრანგეთში

როგორც ცნობილია, საფრანგეთში ყოველწლიურად „უხვად" რიგდება სხვადასხვა სახის პრემიები. საფრანგეთის აკადემია ყველაზე უფრო სახელგანთქმულია ამ საქმეში. ეს დაწესებულება მოთავსებულია მდინარე სენას ნაპირზე, ბუკინისტების კვარტალში. შენობა ძველია, გამჭვარტლული, ეზო დაცალიერებული, ქვაფენილზე ბალახია ამოსული.

მთელი წლის განმავლობაში ეს შენობა თითქმის ცარიელია. მხოლოდ პრემიების განაწილების პერიოდში ეტყობა აზაურება მყუდროებით სავსე ოთახებს.

აკადემია ყოველწლიურად სცემს ერთდროულ ჟურნალს, რომელშიაც იბეჭდება პრემიების სრული სია, აკადემიკოსებისა და კორესპონდენტების გვარები.

ამ ჟურნალის გადათვალიერებისას ადამიანს ანცვიფრებს ერთი გარემოება: ასეულ პრემირებულ პირთა შორის ვერ ნახავთ ათ ისეთს მწერალს, რომელსაც იცნობდნენ თვითონ საფრანგეთშიაც-კი.

ეს არც გასაკვირველია. აკადემიის პრემიები დაწესებულია არა იმიტომ, რომ ახალ იდეებისათვის, ნოვატორულ ტენდენციებისათვის წაახალისოს ადამიანები, არამედ იმისათვის, რომ შენახულ და შენარჩუნებულ იქნას ის ფორმები და იდეები, რომლებიც აკადემიამ 300 წლის წინად მიიღო.

როგორც მასალებიდან ირკვევა, საფრანგეთის აკადემია სალიტერატურო დაწესებულებაა, მაგრამ რატომღაც იგი პრემიებს აძლევს „მრავალშვილიანობისათვის"; აკადემიის თანამშრომლები ფიქრობენ, რომ ეს პრემიებია მათთვის მთავარი. ამ პრემიებისათვის თანხა აკადემიას დაუტოვა კონიაკ-ჟეიმ, პარიზის უდიდესი უნივერმაღის პატრონმა. ამ თანხის პროცენტებიდან არიგებს აკადემია პრემიებს „მრავალშვილიანობისათვის". აკადემიის ხელმძღვანელები დარწმუნებული არიან, რომ ამ პრემიების შემოღებამ საფრანგეთში გაზარდა დაბადებათა რიცხვი, სტატისტიკა კი წინააღმდეგს ამტკიცებს.

ვისგან შესდგება საფრანგეთის ეს „სახელგანთქმული" აკადემია? ორმოც ეგრეთწოდებულ „უკვდავ" მწერლისაგან. ესენი არიან „თავისებური" მწერლები: მათ შორის ირიცხებიან გენერლები, რომლებსაც არასოდეს არაფერი დაუწერიათ, ეპისკოპოსები და კარდინალები, რეაქციონერები და ათეული მომწერლო ადამიანი, რომელთა ნაწერებს არავინ არ კითხულობს. არც ერთი თანამედროვე გამოჩენილი მწერალი არ ატარებს ამ „უკვდავების" ტიტულს. რომენ როლანი აკადემიაში არ მოხვდა, თუმცა მან 1916 წელს ნობელის პრემია მიიღო.

ლიტერატურულ პრემიებს საფრანგეთის აკადემია არიგებს ნაწილობრივ სახელმწიფო თანხებიდან („ლიტერატურის პრემია" და „რომანის პრემია"), მეტწილად-კი კერძო პირთა შემოწირულ თანხებიდან. პრემიების თანხა განისაზღვრება 500-დან 50.000 ფრანკამდე.

როგორც აკადემიის წევრების, ისე მათი ლაურეატების უმრავლესობის სახელები დავიწყებულია ლიტერატურის ისტორიის მიერ. რა უნდა ითქვას ამ აკადემიაზე მას შემდეგ, რაც მან პრემიის ღირსად არა სცნო ისეთი მწერლები, როგორნიც არიან რომენ როლანი, ბარბიუსი და მალრო.

საფრანგეთის აკადემიამ კერძო პირთა შემოწირულებებით დააარსა რამდენიმე ათეული პრემია.

თუ რისთვის ეძლევათ პრემიები სხვადასხვა ავტორებს, ამას ყველაზე კარგად ცხადჰყოფენ ის პირობები, რომლებიც დაწესებულია პრემიის მისაღებად. აი, მაგალითად, ბორდენის პრემია (3.000 ფრანკი) დაწესებულია „წმინდა ლიტერატურის წახალისებისათვის". მარსელენ გერენის პრემია (5.000 ფრანკი) განკუთვნილია „ისტორიულ ან ლიტერატურულ ნაწარმოებისათვის, რომელსაც შეუძლია ასწიოს საფრანგეთის პრესტიჟი და გამოამჟღავნოს იდეები, ჩვევები, ხასიათები". ვიტოს პრემიას (3.500 ფრანკი) აკადემია ყოველწლიურად აძლევს ავტორებს „ლიტერატურის ინტერესებისათვის". ალფრედ ნეის პრემია (4.500 ფრანკი) ეძლევათ მწერლებს ან მათ ქვრივებს „ფორმითა და იდეით ორიგინალური ნაწარმოებისათვის". ეს პრემია მიუციათ ისეთ მწერლებისთვის, რომლებსაც არასოდეს არ განუცხადებიათ პრეტენზიები ლიტერატურის ახალ ფორმასა და იდეებზე. სობრიო-არნუს პრემია (2.000 ფრანკი) ეძლევა ისეთ საუკეთესო ნაწარმოებს, რომელსაც „შეუძლია მეტი ჭკუა ასწავლოს ახალგაზრდობას". ფურტადოს პრემია (1.000 ფრანკი) ეძლევა ავტორს, „გამოსადეგ" ლიტერატურულ ნაწარმოებისათვის.

„ლიტერატურის დიდი პრემია" (10.000 ფრანკი) ეძლევათ პროზაიკოსებსა და პოეტებს, „ამაღლებული ხასიათის ნაწარმოების" ავტორებს. „ფრანგული რომანის პრემიასაც (5.000 ფრანკი) აკადემია აძლევს „ახალგაზრდა ავტორებს" „ამაღლებული ხასიათის ნაწარმოებისათვის".

დანარჩენი პრემიების ჩამოთვლა არა ღირს. უმრავლესობა მათგანი განკუთვნილია ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ბურჟუაზიული მორალისა და რელიგიის პრინციპებს.

ამ პრემიების გაცემას თანა სდევს დაუსრულებელი ინტრიგები როგორც კანდიდატთა, ისე აკადემიკოსთა შორის. სხვათა შორის, ასეთი ხასიათის ინტრიგებს ადგილი აქვს აკადემიის წევრთა არჩევნების დროსაც. კანდიდატები დარბიან აკადემიკოსებთან ბინებზე, თავს იმცირებენ, ეხვეწებიან, სთხოვენ დახმარებას ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ცნობილმა მწერლებმა, ძმებმა გონკურებმა ფრანგული აკადემიის საწინააღმდეგოდ, რომელიც უნიჭოებასა და რუტინას ივავოდა, დააარსეს თავიანთი ლიტერატურული აკადემია — გონკურების აკადემია. გონკურების პრემიას საფრანგეთში უდიდესი ლიტერატურული და საზოგადოებრივი წონა აქვს.

ფრანგული აკადემიის პრაქტიკის წინააღმდეგ გონკურების აკადემია კანდიდატებისაგან განცხადებებს არ ღებულობს და არც კანდიდატები არსებობენ, რადგან თვითონ აკადემიკოსები ირჩევენ დასაჯილდოვებელ იმ ნაწარმოებს, რომელიც პრემიის გაცემამდე ერთი წლით ადრე უნდა იყოს დაბეჭდილი.

გონკურების აკადემიამ მუშაობა დაიწყო 1903 წელს, ედმონდ გონკურის გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ. ამ აკადემიის წესდების მიხედვით, პრემიის მისჯა ხდება ხმის უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარე სარგებლობს ორი ხმის უფლებით. კენჭის ყრა ხდება რამდენჯერმე, სანამ აკადემიკოსთა უმრავლესობა ხმას არ მისცემს წამოყენებულ კანდიდატს. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიის ზოგიერთმა წევრმა 1916 წელს ყოველგვარი ზომა მიიღო ანრი ბარბიუსის წინააღმდეგ, პრემია მაინც ბარბიუსს მიეცა მისი ცნობილი რომანის „ცეცხლისათვის".

წელიწადში ერთხელ გონკურების აკადემია იკრიბება პარიზის ერთ-ერთ უდიდეს რესტორანში, სადაც ხდება კენჭის ყრა. ჟურნალისტები შედეგებს უცდიან რესტორანის ერთ-ერთ სალონში.

ყოველწლიური კრების გარდა გონკურების აკადემია არაფერს აკეთებს.

ვის ეძლევა გონკურების პრემია? ხან უნიჭო, ხან კი ნიჭიერ მწერლებს.

აღსანიშნავია, რომ ამ აკადემიის ლაურეატთა შორის იყვნენ ისეთი მწერლები, რომლებიც დღეს უაღრესად რეაქციონურ, მოფაშისტო წრეებს ეკუთვნიან (კლოდ ფარერი და სხვანი).

არც გონკურების აკადემიას მიუცია რომენ როლანისათვის პრემია.

1921 წელს გონკურების აკადემიამ პრემია მისცა რენე მარანს ცნობილი რომანის „ბატუალა"-სათვის, 1933 წელს პრემია მიესაჯა ანდრე მალროს „ადამიანის არსებობის პირობებისათვის".

მის ლაურეატთა შორის მხოლოდ ეს ორი ავტორია, რომლებიც ახლა პროგრესიულ ბანაკს ეკუთვნიან. ეს გასაკვირველიც არ არის, რადგან, წესდების მიხედვით, პრემიის მინიჭების დროს ავტორის პოლიტიკური შეხედულებანი არავითარ როლს არ უნდა თამაშობდნენ. გონკურების აკადემიის ახალი შემადგენლობა ფრანგული ბურჟუაზიის უფრო რეაქციულ წრეებს ეკუთვნის, რის გამო იგი რევოლუციური ლიტერატურის წარმომადგენლებს არა სცნობს პრემიის მიღების ღირსად.

მიუხედავად ამისა, ამჟამადაც საფრანგეთში გონკურების პრემია ყველაზე უფრო საპატიო პრემიად ითვლება. დანარჩენი პრემიებს დიდი უმრავლესობა შემოღებულია მხოლოდ რეკლამისათვის.

1938 წელს პრემირებულ ავტორთა უმრავლესობა უკვე დავიწყებულია. ოდესღაც, დაახლოებით 15 წლის წინად, პრემიების მისჯა დიდ ლიტერატურულ მოვლენად ითვლებოდა. ახლა კი მკითხველთა თვალში პრემიების ღირებულება ისე დაეცა, რომ ლაურეატების სახელს პრემიების მიცემის მეორე დღესვე ივიწყებენ.

გარდა ამ ორი აკადემიის პრემიებისა საფრანგეთში რიგდება კიდევ 82 ლიტერატურული პრემია, რომლების არსებობის შესახებ იციან მხოლოდ ჟიურის წევრებმა და ამ პრემიების ლაურეატებმა. არსებობს, მაგალითად, რომელიღაც ღვთის მოსავი ქვრივის პრემია, რომელსაც ანიჭებენ „ღვთისმშობელზე" დაწერილ საუკეთესო ნაწარმოებისათვის. არის პრემია „ცხოველთა დაცვის საზოგადოებისა", „ხმამაღალი მოლაპარაკის პრემია" რადიოსათვის საუკეთესო ნაწარმოების დაწერაზე. არის შემდეგი პრემიებიც: „ფრანგი მევენახეებისა", „საუკეთესო ფრანგული ხილისათვის", „საუცხოვო მწყერებისათვის" და სხვა. ყველა ამ თემაზე ავტორები რომანებს სწერენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან.

საინტერესოა, რატომ გამრავლდა ამ ბოლო დროს „პრემიები" საფრანგეთში? ამაში ბრალი მიუძღვის საფრანგეთის ლიტერატურული ბაზრის მდგომარეობას. ამ ბოლო დროს ლიტერატურული ცხოვრება უდიდეს კრიზისს განიცდის, რაც შედეგად მოჰყვა ეკონომიურ კრიზისს. გარდა ამისა, ბურჟუაზიულ მწერალთა უმრავლესობის შემოქმედება აღარ აკმაყოფილებს მკითხველს, რადგან მათი ნაწარმოებები არ ასახვენ იმ მოვლენებს, რომლებიც ამჟამად ასე აღელვებენ მთელს მსოფლიოს.

დამწყები მწერალი საფრანგეთში ახლა ვერ იშოვის გამომცემელს. მეცნიერული ნაშრომების ავტორები, მეტად ცნობილთა გარდა, იძულებულნი არიან თვითონვე გადაიხადონ გამოცემის საფასური. ლიტერატურული კრიტიკოსები თითქმის აღარ კითხულობენ მათთან სარეცენზიოდ გაგზავნილ წიგნებს, თუ ისინი არ ეკუთვნიან უკვე ცნობილ მწერლებს. წიგნის მაღაზიებში შეიძლება ნახევარ ფასად იყიდოთ ათი დღის წინად გამოცემული რომანი.

ხშირია შემთხვევა, როცა ამ წიგნებს შორის შეხვდებათ ავტორის მიერ კრიტიკოსისათვის ნაჩუქარი წიგნი წარწერით, წიგნი ხელუხლებელია, ხშირად გაუჭრელიც კი. წიგნის გამყიდველები წიგნის გასასაღებლად ყოველგვარ ხრიკს მიმართავენ. მაგალითად, წიგნს ადებენ ორმაგ ფასს და შემდეგ ჰყიდიან ნახევარფასად. მაგრამ მაინც არაფერი შველით.

საფრანგეთში 7.000 წიგნის მაღაზიაა, მაშინ, როცა წიგნის ტირაჟი 1500 ცალიდან 3.000 ცალამდე აღწევს. გამომცემელს არ შეუძლია ყველა წიგნის მაღაზიას გაუგზავნოს წიგნი, რადგან ფოსტის ხარჯები ძალზე გადიდებულია.

არის ისეთი წიგნებიც, რომლებიც ყოველგვარი რეკლამის გარეშე და სწრაფად საღდებიან. ასეთია ბულვარული და პორნოგრაფიული ხასიათის მაკულატურა. მაგრამ ზემოთ ჩვენ ამას არ ვეხებით. ჩვენ ვლაპარაკობთ ფრანგული ლიტერატურის გასაღების კრიზისზე, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს ლიტერატურული პრემიების გამრავლება გამოიწვია. ეს პრემიები შემოღებულია მხოლოდ იმისათვის, რომ მკითხველის ყურადღება მიიქციოს.

მკითხველი დაინტერესებულია წაიკითხოს ისეთი წიგნი, სადაც ასახულია მისი ცხოვრება, ის წრე, რომელშიაც მას უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა. სწორედ ის, რომ მწერალი მოსწყდა მკითხველს, არის მთავარი მიზეზი საფრანგეთისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების წიგნის კრიზისისა.

საერთაშორისო კინო-ფესტივალი

როგორც ფრანგული პრესა იუწყება, საფრანგეთის მთავრობის განათლების სამინისტრო კანაში (საფრანგეთში) აწყობს კინო-ფესტივალს. დაარსდა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის საპატიო თავმჯდომარედაც ლუი ლიუმიერია.

ეს ფესტივალი ეწყობა განსაკუთრებული პირობებით. ჟიურის შემადგენლობაში შევა ფესტივალში მონაწილე ქვეყნების თითო წარმომადგენელი. ყველა ფილმი, რომელიც წარედგინება კინო-ფესტივალს, 1938 და 1939 წლებში გამოშვებული უნდა იყოს. გარდა ამისა, წარდგენილი ფილმების ნახევარზე არა ნაკლები სრულიად ახალ სურათებს უნდა წარმოადგენდნენ, რომლებიც პირველად იქნება დემონსტრირებული ფესტივალზე.

ფესტივალზე რამდენიმე პრემია იქნება. ამ პრემიებს მისცემენ ყველა ქვეყნიდან თითო საუკეთესო ფილმს, საუკეთესო რეჟისორს (ლიუმიერის პრემია), საუკეთესო მსახიობ ქალსა და მსახიობ მამაკაცს ცალკ-ცალკე; საუკეთესო სცენარისტს, კომპოზიტორს, ოპერატორს, საუკეთესო დოკუმენტურ და მულტიპლიკაციურ ფილმს და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 18 (მწერალთა სახლი) ტელეფონი 8-47-10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", შეკვეთა № [illegible]

მთავლიტის რწმუნებული 699.